

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №999
2010 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი**

სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების გამოყენების შესახებ

(21.02.2012 N 54)

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 84-ე მუხლის მე-5 ნაწილის, 91-ე მუხლის მე-7 ნაწილის, 93-ე მუხლის მე-4 ნაწილის, 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 95⁴ მუხლის მე-3 ნაწილისა და 95⁵ მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, **ვბრძანებ: (20.03.2012 N 88)**

მუხლი 1. დამტკიცდეს:

1. ინსტრუქცია „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ (დანართი №1) თანდართულ დანართებთან ერთად. *(21.02.2012 N 54)*

2. ინსტრუქცია „მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირების მიერ დეკლარაციის ფორმისა, მისი შევსებისა და წარდგენის წესი“ (დანართი №2) თანდართულ დანართთან ერთად.

3. ინსტრუქცია „მცირე ბიზნესისთვის ხარჯების აღრიცხვის სპეციალური ჟურნალის წარმოების წესის შესახებ“ (დანართი №3) თანდართულ დანართთან ერთად.

4. ინსტრუქცია „ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭებისა და გაუქმების, ფიქსირებული გადასახადის გადახდისა და ანგარიშგების და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სერტიფიკატის გაცემის წესის შესახებ“ (დანართი №4) თანდართულ დანართებთან ერთად. *(20.03.2012 N 88)*

მუხლი 2. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან.

კ. ბაინდურაშვილი

დანართი №1

სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ (21.02.2012 N 54)

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ინსტრუქცია შემუშავებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის XII თავის შესაბამისად და განსაზღვრავს სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების მიხედვით საშემოსავლო/მოგების გადასახადის ადმინისტრირების წესს. *(21.02.2012 N 54)*

2. სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები ვრცელდება:

ა) მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირებზე;

ბ) მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირებზე.

გ) ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირებზე. *(21.02.2012 N 54)*

3. ამოღებულია (21.02.2012 N 54)

4. თუ სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების მიხედვით საქართველოს საგადასახადო კოდექსში ან/და ამ ინსტრუქციაში არ არის გადასახადების ადმინისტრირების სპეციალური ნორმა, გამოიყენება დაბეგვრის საერთო წესები.

5. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისაგან შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი, საქონლის/მომსახურების შემძენი პირის ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვითება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ სტატუსის მქონე პირის მიერ საქონლის მიწოდებით/მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავლები იბეგრება საერთო წესით. (30.06.2014 N 197)

თავი II

მიკრობიზნესი

მუხლი 2. მიკრობიზნესის სტატუსი

1. მიკრობიზნესის სტატუსი შესაძლებელია მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც არის გადასახადის გადამხდელი, გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. მიკრობიზნესის სტატუსის მისაღებად მეწარმე ფიზიკურ პირად, როგორც მეწარმე სუბიექტად ყოფნა სავალდებულო არ არის.

3. მიკრობიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას;

ბ) დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, რომლის მიხედვითაც მის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 30000 ლარს, გარდა ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევისა.

მაგალითი 1: (11.04.2011 N 207)

პირობა:

ჯონდი არის ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას – ინდივიდუალურად რძისგან ამზადებს რძის პროდუქტს (მაწონს) და უკეთებს რეალიზაციას. მოცემული მომენტისათვის იგი არ ახორციელებს სხვა რაიმე სახის საქმიანობას და არ იყენებს დაქირავებულ პირის შრომას. ჯონდის აზრით (წინასწარი ვარაუდით), მიმდინარე საანგარიშო წლის განმავლობაში რძის პროდუქტის (მაწვნის) რეალიზაციის შედეგად მოსალოდნელი დასაბეგრი შემოსავალი ვერ გადააჭარბებს 30 000 ლარს.

ანალიზი:

იქიდან გამომდინარე, რომ ჯონდი არ იყენებს დაქირავებულ პირის შრომას, აგრეთვე მისი ვარაუდით მისაღები მოსალოდნელი დასაბეგრი შემოსავალი ვერ გადააჭარბებს 30 000 ლარს და მოცემული მომენტისათვის იგი არ ახორციელებს სხვა რაიმე სახის საქმიანობას, ჯონდი აკმაყოფილებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 84-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ მიკრობიზნესის სტატუსის მოთხოვნებს, შესაბამისად, მას უფლება აქვს მიმართოს საგადასახადო ორგანოს და მიიღოს მიკრობიზნესის სტატუსი.

შენიშვნა: (20.03.2012 N 88)

ჯონდის მიერ დამატებით, სხვა სახის საქმიანობის განხორციელება და, შესაბამისად, შემოსავლის მიღება არ არის საგადასახადო ორგანოს მიერ მიკრობიზნესის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის, ან სტატუსის ქონის შემთხვევაში სტატუსის გაუქმების საფუძველი, თუ აღნიშნული საქმიანობა არ განეკუთვნება „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №415 დადგენილებით განსაზღვრული იმ საქმიანობების სახეებს, რომელთა განხორციელებაც ეკრძალება მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირს.

შედეგი:

ჯონდის მოთხოვნის შემთხვევაში მიენიჭება მიკრობიზნესის სტატუსი და გადაეცემა სტატუსის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

4. „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №415 დადგენილებით გათვალისწინებული დანართი №1-ით განსაზღვრულ საქმიანობის სახეებზე მიკრობიზნესის 30000-ლარიანი ზღვარი არ ვრცელდება და ასეთი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი არ იბეგრება. (20.03.2012 N 88)

მაგალითი 2

პირობა:

პირობები იგივეა, რაც პირველ მაგალითში იმ განსხვავებით, რომ ჯონდიმ რძის პროდუქტის (მაწვნის) რეალიზაციის შედეგად მიიღო ერთობლივი შემოსავალი 27 000 ლარი წლის განმავლობაში და ჯონდი თავისუფალ დროს რძის პროდუქტის (მაწვნის) წარმოებასთან და რეალიზაციასთან ერთად ახორციელებდა საყოფაცხოვრებო ელექტრონული ნაწარმის რემონტს (მთავრობის დადგენილებით საყოფაცხოვრებო ელექტრონული ნაწარმის რემონტზე არ ვრცელდება 30 000-ლარიანი ზღვარი), რის შედეგადაც მან მიიღო დამატებით 10 000 ლარი. შედეგად, ჯონდის ერთობლივმა შემოსავალმა მიმდინარე საგადასახადო წლის განმავლობაში შეადგინა 37 000 (27 000+10 000) ლარი.

ანალიზი: (20.03.2012 N 88)

„სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №415 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის თანახმად, საყოფაცხოვრებო ელექტრონული ნაწარმის რემონტი განეკუთვნება იმ საქმიანობიდან ერთ-ერთს, რომლისგან მიღებული შემოსავალი არ იბეგრება და რომელზეც არ ვრცელდება მიკრობიზნესისთვის დადგენილი ერთობლივი შემოსავლის 30 000-ლარიანი ზღვარი, შესაბამისად, ჯონდის მიერ საყოფაცხოვრებო ელექტრონული ნაწარმის რემონტიდან 10 000 ლარის ოდენობით მიღებული შემოსავალი მხედველობაში არ მიიღება და ამ შემოსავლის გარეშე მისი სხვა შემოსავალი კვლავ შეადგენს 27 000 ლარს, რომელიც არ აჭარბებს 30 000 ლარს.

შედეგი:

ჯონდის მიკრობიზნესის სტატუსი არ გაუუქმდება.

როგორც რძის პროდუქტის (მაწვნის) რეალიზაციიდან მიღებული 27 000 ლარი, ასევე საყოფაცხოვრებო ელექტრონული ნაწარმის რემონტიდან მიღებული 10 000 ლარი

დაექვემდებარება სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას, შესაბამისად, გათავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისაგან.

5. „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №415 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №3-ით განსაზღვრული შემოსავლების მიღებისას: (20.03.2012 N 88)

ა) მიკრობიზნესის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავლის 30 000-ლარიანი ზღვრის განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება ასეთი შემოსავლები მიუხედავად ამ შემოსავლების ოდენობისა;

ბ) ასეთი შემოსავლები იბეგრება ჩვეულებრივი წესით, როგორც დაიბეგრებოდა მიკრობიზნესის სტატუსის არარსებობის შემთხვევაში.

მაგალითი 3:

პირობა:

პირობები იგივეა, რაც მე-2 მაგალითში, იმ განსხვავებით, რომ ჯონდის გასესხებული ჰქონდა ფიზიკურ პირზე ფული, რის შედეგად პროცენტის სახით მიიღო შემოსავალი 3 500 ლარის ოდენობით და ასევე ჯონდის აჩუქეს 7000 ლარი (არც ერთი შემოსავალი წყაროსთან დაბეგვრას არ ექვემდებარებოდა და არ დაბეგრილა). ჯონდის ერთობლივმა შემოსავალმა მიმდინარე წელს 47 500 (27 000+10 000+3 500+7 000) ლარი შეადგინა.

ანალიზი: (20.03.2012 N 88)

ანალიზი იგივეა, რაც მე-2 მაგალითის ანალიზშია მოცემული, იმ განსხვავებით, რომ „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №415 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №3-ის თანახმად, პროცენტის სახით და ჩუქებით მიღებული შემოსავლები განეკუთვნება იმ შემოსავლებს, რომლებიც იბეგრება ჩვეულებრივი რეჟიმით (ერთობლივ შემოსავალთან მასთან დაკავშირებული ხარჯების შეპირისპირებით) და რომლებიც მიკრობიზნესისთვის დადგენილი ერთობლივი შემოსავლის 30 000-ლარიანი ზღვრის განსაზღვრის მიზნებისათვის არ გაითვალისწინება ერთობლივ შემოსავალში. შესაბამისად, ჯონდის მიერ პროცენტის სახით 3 500 ლარის ოდენობით და ჩუქების შედეგად 7 000 ლარის ოდენობით მიღებული შემოსავალი მხედველობაში არ მიიღება და ამ შემოსავლის გარეშე მისი სხვა შემოსავალი შეადგენს 27 000 ლარს, რომელიც არ აჭარბებს 30 000 ლარს.

შედეგი:

ჯონდის მიკრობიზნესის სტატუსი არ გაუუქმდება.

როგორც რძის პროდუქტის (მაწვნის) რეალიზაციიდან მიღებული 27 000 ლარი, ასევე საყოფაცხოვრებო ელექტრონული ნაწარმის რემონტიდან მიღებული 10 000 ლარი, დაექვემდებარება სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას, შესაბამისად, გათავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისაგან.

ჯონდი ვალდებულია პროცენტის სახით მიღებული 3 500 ლარი და ჩუქების შედეგად მიღებული 7 000 ლარი მიკრობიზნესის სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას დაექვემდებარებული შემოსავლისგან განცალკევებულად ასახოს ერთობლივ შემოსავალში და დაბეგროს ჩვეულებრივი წესით.

6. მიკრობიზნესის სტატუსი არ შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, თუ იგი ახორციელებს „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №415 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2-ით

განსაზღვრულ საქმიანობას (შემდგომში – მიკრობიზნესისთვის აკრძალული საქმიანობა), რომლის განხორციელება მიკრობიზნესის მიერ აკრძალულია და იწვევს სტატუსის გაუქმებას. (20.03.2012 N 88)

მაგალითი 4.

ჯონდი ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას სათამაშო აპარატებით. იგი ელოდება, რომ მისი ერთობლივი შემოსავალი წლის ბოლოს არ გადააჭარბებს 30 ათას ლარს. აქედან გამომდინარე, ის გადაწყვეტს მიმართოს საგადასახადო ორგანოს მიკრობიზნესის სტატუსის მინიჭების თაობაზე, თუმცა საგადასახადო ორგანო მას არ აძლევს სტატუსს, ვინაიდან ზემოაღნიშნული საქმიანობა მიკრობიზნესისთვის აკრძალული საქმიანობაა.

მუხლი 3. ფიზიკური პირისათვის მიკრობიზნესის სტატუსის მინიჭება

1. ფიზიკური პირი: (21.02.2012 N 54)

ა) რომელიც იმყოფება საგადასახადო აღრიცხვაზე, მიკრობიზნესის სტატუსის მინიჭებისათვის განცხადებით (ამ ინსტრუქციის დანართი №1) მიმართავს საგადასახადო ორგანოს;

ბ) რომელიც არ იმყოფება საგადასახადო აღრიცხვაზე მისი საგადასახადო აღრიცხვაზე აყვანის მიზნით და მიკრობიზნესის სტატუსის მინიჭებისათვის განცხადებით (ამ ინსტრუქციის დანართი №1) მიმართავს საგადასახადო ორგანოს.

2. საგადასახადო ორგანო განიხილავს განცხადებას (ამ ინსტრუქციის დანართი №1) სტატუსის მინიჭების თაობაზე და აღნიშნული განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში განცხადების მიღებიდან გონივრულ ვადაში გასცემს მიკრობიზნესის სერტიფიკატს (ამ ინსტრუქციის დანართი №2). (11.04.2011 N 207)

3. მიკრობიზნესის სტატუსი პირს ენიჭება განცხადებაში მითითებული თარიღიდან, რომელიც არ უნდა უსწრებდეს განცხადების საგადასახადო ორგანოში რეგისტრაციის თარიღს. მიკრობიზნესის სტატუსის მინიჭების თარიღი ფიქსირდება საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემულ მიკრობიზნესის სერტიფიკატში და პირი სტატუსის მქონედ ითვლება აღნიშნული თარიღიდან. (21.02.2012 N 54)

4. სერტიფიკატი ძალაშია შემდგომ საანგარიშო პერიოდებშიც, თუ ფიზიკურ პირს არ უუქმდება მიკრობიზნესის სტატუსი.

5. ამოღებულია (11.04.2011 N 207)

6. ფიზიკურ პირს უფლება აქვს მიკრობიზნესის სტატუსის მისაღებად საგადასახადო ორგანოს მიმართოს, როგორც 2011 საანგარიშო წლის მიხედვით, ასევე შემდგომი ნებისმიერი საანგარიშო წლის მიხედვით, ნებისმიერ დროს ამ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად. აღნიშნულ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილდება მიკრობიზნესის სტატუსის მინიჭების პირობები, მისთვის მიკრობიზნესის სტატუსი მინიჭებულად ითვლება საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემულ სერტიფიკატში მითითებული თარიღიდან. (21.02.2012 N 54)

7. ფიზიკურ პირი, რომელსაც გაუუქმდა მიკრობიზნესის სტატუსი, უფლებამოსილია მომდევნო საგადასახადო წლიდან ამ სტატუსის ხელახალი მინიჭების მოთხოვნით მიმართოს საგადასახადო ორგანოს. (21.02.2012 N 54)

8. მიკრობიზნესის სტატუსის ხელახალი მინიჭების შემთხვევაში, ფიზიკურ პირზე გაიცემა სერტიფიკატი ახალი სარეგისტრაციო ნომრით.

9. მიკრობიზნესის სტატუსი არ შეიძლება მიენიჭოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ პირს. (21.02.2012 N 54)

10. საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს მის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე, საკუთარი ინიციატივით (განცხადებით მომართვის გარეშე) მიანიჭოს ფიზიკურ პირს მიკრობიზნესის სტატუსი და გადასცეს შესაბამისი სერტიფიკატი, თუ თვლის, რომ ფიზიკური პირი აკმაყოფილებს მიკრობიზნესისთვის დადგენილ მოთხოვნებს.

მუხლი 4. მიკრობიზნესის დასაბეგრი შემოსავლის განსაზღვრა და დაბეგვრის წესი

1. საანგარიშო წლის განმავლობაში მიკრობიზნესის ერთობლივი შემოსავალი შედგება:

ა) შემოსავლისგან, რომელიც ექვემდებარება სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას და მოიცავს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულ ერთობლივ შემოსავალს, გარდა ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნული შემოსავლებისა და ხელფასის სახით მიღებული შემოსავლებისა;

ბ) შემოსავლისგან, რომელიც იბეგრება ჩვეულებრივი რეჟიმით და მოიცავს მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის მიერ „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №415 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №3-ით განსაზღვრული შემოსავლების სახეების მიხედვით მიღებულ ერთობლივ შემოსავალს; (20.03.2012 N 88)

გ) სხვა შემოსავლებისგან, რომელიც იბეგრება ჩვეულებრივი რეჟიმით, გარდა ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული შემოსავლებისა.

2. მიკრობიზნესის დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც ექვემდებარება სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას (საშემოსავლო საგადასახადო არ იბეგრება), შედგება:

ა) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ეკონომიკური საქმიანობით მიღებული ერთობლივი შემოსავლებისგან, რომელიც კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30 000 ლარს, გარდა ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნული შემოსავლებისა (იხ.: მე-2 მუხლის მაგალითი 1);

ბ) „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №415 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ით განსაზღვრული საქმიანობის სახეებიდან მიღებული შემოსავლებისგან, რომლებზეც 30 000-ლარიანი ზღვარი არ ვრცელდება. (იხ.: მე-2 მუხლის მაგალითი 2). (20.03.2012 N 88)

3. მიკრობიზნესის დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც არ ექვემდებარება სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას:

ა) გაიანგარიშება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-80 მუხლის მიხედვით ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავლების გათვალისწინებით;

ბ) იბეგრება ჩვეულებრივი წესით, როგორც დაიბეგრებოდა მიკრობიზნესის სტატუსის არარსებობის შემთხვევაში. (იხ.: მე-2 მუხლის მაგალითი 3)

მუხლი 5. მიკრობიზნესის საგადასახადო ანგარიშგება

1. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირები არ იხდიან მიმდინარე საგადასახდელებს.

2. თუ ფიზიკური პირი მიმდინარე საანგარიშო წელს გადაწყვეტს მიკრობიზნესის სტატუსის მიღებას და დაბეგვრის სხვა რეჟიმიდან მიკრობიზნესის დაბეგვრის რეჟიმზე გადასვლას, მის მიერ საანგარიშო პერიოდში მიკრობიზნესის სტატუსის მინიჭებამდე მიღებული შემოსავლები ექვემდებარება მიკრობიზნესისთვის დადგენილი სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას.

მაგალითი 1.

ჯონდომ 2011 წლის 25 ოქტომბრიდან მიიღო მიკრობიზნესის სტატუსი. მოცემული მომენტისათვის მისი ერთობლივი შემოსავალი შეადგენდა 15 ათას ლარს, ბიუჯეტში კი მიმდინარე გადასახდელების სახით გადახდილი ჰქონდა 1000 ლარი. საანგარიშო წლის დასრულებამდე მან კიდევ მიიღო შემოსავალი 7000 ლარის ოდენობით. 2012 წლის 1 აპრილამდე წარადგინა დეკლარაცია, რომელშიც ასახა 2011 წლის ერთობლივი შემოსავალი – 22000 ლარი (15 000 + 7 000). (21.02.2012 N 54)

ანალიზი:

ვინაიდან ჯონდომ სტატუსი მიიღო 2011 წლის განმავლობაში, მიკრობიზნესისათვის დადგენილი სპეციალური რეჟიმი გავრცელდება მის მიერ 2011 წლის საანგარიშო პერიოდში მიღებულ ერთობლივ შემოსავალზე, ანუ 22000 ლარზე. შესაბამისად, მის მიერ გადახდილი 1000 ლარი ჩაითვლება ზედმეტად გადახდილად და დადგენილი წესით დაექვემდებარება ჩათვლას ან/და დაბრუნებას.

3. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირს, მიღებული მომსახურების ანაზღაურების შემთხვევაში, არ ევალება გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება (საგადასახადო აგენტის ფუნქციის შესრულება). ამასთან, არარეზიდენტი პირისაგან მიღებული მომსახურების ანაზღაურების შემთხვევაში იგი ვალდებულია ოპერაცია დაბეგვრის დღ-ით საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული უკუდაბეგვრის წესით.

4. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი ვალდებულია საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე საგადასახადო ორგანოში წარადგინოს გამარტივებული საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია ამ ბრძანების „მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირების მიერ დეკლარაციის ფორმისა, მისი შევსებისა და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №2) შესაბამისად.

5. თუ მიმდინარე წლის განმავლობაში ფიზიკურ პირს გაუუქმდა მიკრობიზნესის სტატუსი და მას არ მიუღია მცირე ბიზნესის სტატუსი, მის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი ექვემდებარება საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრას საერთო წესით. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება მიმდინარე გადასახდელების მიმართ. (21.02.2012 N 54)

6. თუ მიმდინარე წლის განმავლობაში ფიზიკურ პირს გაუუქმდა მიკრობიზნესის სტატუსი და მას მიენიჭა მცირე ბიზნესის სტატუსი, მის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი ექვემდებარება დაბეგვრას მცირე ბიზნესისთვის დადგენილი წესის შესაბამისად. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება მიმდინარე გადასახდელების მიმართ. (21.02.2012 N 54)

7. ამოღებულია (21.02.2012 N 54)

მაგალითი 2. ამოღებულია (21.02.2012 N 54)

8. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი საქართველოში ეკონომიკური საქმიანობის შეწყვეტისას საგადასახადო ორგანოს 30 სამუშაო დღის ვადაში წარუდგენს

დეკლარაციას. ამასთან, თუ მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი შემდგომში მიმდინარე საგადასახადო წლის დასრულებამდე არ განაახლებს ეკონომიკურ საქმიანობას, საანგარიშო წლის მიხედვით მომდევნო წლის 1 აპრილამდე საგადასახადო ორგანოში განმეორებით დეკლარაციის წარადგენა სავალდებულო არ არის. (21.02.2012 N 54)

მაგალითი 3.

ჯონდის აქვს მიკრობიზნესის სტატუსი და ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას. 2011 წლის 1 ივლისს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო შეწყვიტა საქმიანობა. ამ მომენტისათვის მას მიღებული ჰქონდა 8000 ლარის ოდენობის ერთობლივი შემოსავალი და 16 ივლისს საგადასახადო ორგანოში წარადგინა დეკლარაცია, თუმცა შეეძლო წარედგინა 12 აგვისტოს ჩათვლით. (21.02.2012 N 54)

შემთხვევა №1:

ჯონდის აღარ განუახლებია ეკონომიკური საქმიანობა 2011 წლის საანგარიშო პერიოდში და შესაბამისად მას აღარ წარმოშობია ვალდებულება წარედგინა დეკლარაცია მიმდინარე საანგარიშო წელზე მომდევნო წლის 1 აპრილამდე.

შემთხვევა №2:

ჯონდის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდა და 2011 წლის 7 ოქტომბერს განაახლა ეკონომიკური საქმიანობა. ამ მომენტიდან 2011 წლის 31 დეკემბრამდე განახორციელა ოპერაციები საერთო ღირებულებით 13000 ლარი. 2012 წლის 1 აპრილამდე საგადასახადო ორგანოში უნდა წარადგინოს დეკლარაცია, რომელშიც ერთობლივი შემოსავალი იქნება 21000 ლარი (8000+13000).

მუხლი 6. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის ვალდებულებები

1. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი უფლებამოსილია მყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში რეალიზებულ საქონელზე ან გაწეულ მომსახურებაზე გამოწეროს პირველადი საგადასახადო დოკუმენტი.

2. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი პირველადი საგადასახადო დოკუმენტის გამოწერისას, ვალდებულია დოკუმენტში მიუთითოს მისი სტატუსი და სტატუსის სერტიფიკატის ნომერი.

3. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი ვალდებულია მისთვის ან მის მიერ გამოწერილი პირველადი საგადასახადო დოკუმენტი შეინახოს დადგენილი წესით.

4. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი ვალდებულია უზრუნველყოს 6 წლის ვადით საგადასახადო დოკუმენტების შენახვა.

მუხლი 7. საკონტროლო-საღარო აპარატების გამოყენება მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის მიერ

მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი, გარდა მთავრობის მიერ განსაზღვრული ცალკეული საქმიანობის განმახორციელებელი ან ცალკეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე საქმიანობის განმახორციელებელი მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირებისა, თავისუფლდება საკონტროლო-საღარო აპარატების გამოყენების ვალდებულებისაგან.

მუხლი 8. მიკრობიზნესის სტატუსის გაუქმება

1. მიმდინარე საგადასახადო წელს მიკრობიზნესის სტატუსი უქმდება, თუ:

ა) ფიზიკურმა პირმა მიმართა საგადასახადო ორგანოს წერილობითი განცხადებით (ამ ინსტრუქციის დანართი №1) მიკრობიზნესის სტატუსის გაუქმების ან მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით;

ბ) საგადასახადო ორგანოს მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად დადგინდა, რომ მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის სასაქონლო მატერიალური მარაგების ნაშთი აღემატება 45 000 ლარს.

გ) ფიზიკურმა პირმა განახორციელა მიკრობიზნესისთვის აკრძალული საქმიანობა;

დ) ფიზიკური პირს ჰყავს დაქირავებული (აღნიშნულის მიზნებისათვის დაქირავებულად არ შეიძლება მიჩნეულ იქნენ ოჯახის წევრები); (21.02.2012 N 54)

ე) ფიზიკურ პირს წარმოეშვა დღგ-ის სავალდებულო რეგისტრაციაზე დადგომის ვალდებულება;

ვ) მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში ჯამური ერთობლივი შემოსავალი გადააჭარბებს 30 000 ლარს (აღნიშნული არ ეხება ამ ინსტრუქციის მე-2 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული საქმიანობის სახეების მიხედვით მიღებულ შემოსავალს ან განსაზღვრული შემოსავლის სახეებს, რომელიც არ გაითვალისწინება აღნიშნული ზღვრის გაანგარიშებისას).

2. თუ მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის ჯამური ერთობლივი შემოსავალი გადააჭარბებს 30 000 ლარს (აღნიშნული არ ეხება ამ ინსტრუქციის მე-2 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული საქმიანობის სახეების მიხედვით მიღებულ შემოსავალს ან განსაზღვრული შემოსავლის სახეებს, რომელიც არ გაითვალისწინება აღნიშნული ზღვრის გაანგარიშებისას) ან იგი დაიწყებს დაქირავებული პირის შრომის გამოყენებას, მას უფლება აქვს ამ მომენტის დადგომიდან 15 დღის ვადაში საგადასახადო ორგანოს მიმართოს მცირე ბიზნესის სტატუსის მიღების მიზნით. აღნიშნული უფლების არგამოყენების შემთხვევაში მას ავტომატურად გაუუქმდება მიკრობიზნესის სტატუსი და გამოვა დაბეგვრის სპეციალური რეჟიმიდან.

3. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი ვალდებულია მიკრობიზნესისთვის აკრძალული საქმიანობის განხორციელებამდე მიმართოს საგადასახადო ორგანოს მიკრობიზნესის სტატუსის გაუქმების მოთხოვნით. (21.02.2012 N 54)

4. თუ მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი განახორციელებს მიკრობიზნესისთვის აკრძალულ საქმიანობას, საგადასახადო ორგანო უუქმებს მას მიკრობიზნესის სტატუსს და ფიზიკური პირი გამოდის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმიდან. ამასთან, აღნიშნული იწვევს პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

5. საგადასახადო ორგანოს მიერ ფიზიკური პირისათვის მიკრობიზნესის სტატუსის გაუქმების შემთხვევაში გადამხდელს ეგზავნება შესაბამისი გადაწყვეტილება.

6. მიკრობიზნესის სტატუსის გაუქმების შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული სერტიფიკატი ექვემდებარება დაბრუნებას.

მუხლი 9. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე პირთა რეესტრი

1. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირიდან შემენილ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯის იდენტიფიცირების მიზნით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური (შემდგომში – შემოსავლების

სამსახური) აწარმოებს საგადასახადო წლისათვის მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირების ერთიან რეესტრს, რომელიც განთავსდება შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე.

მუხლი 10. მიკრობიზნესის საგადასახადო კონტროლი

1. საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს მიკრობიზნესის სტატუსის მქონე პირის შემოსავლები განსაზღვროს არაპირდაპირი მეთოდებით – აქტივების სიდიდის, სხვა ამგვარი გადამხდელის შესახებ ინფორმაციის ანალიზის და მიმდინარე საგადასახადო კონტროლის ღონისძიებების ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე.

2. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე პირების მიმართ შეიძლება განხორციელდეს მიმდინარე საგადასახადო კონტროლის შემდეგი ღონისძიებები:

- ა) საქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვა;
- ბ) დათვალიერება;
- გ) შესაბამის შემთხვევებში, საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვა;
- დ) ქრონომეტრაჟი;
- ე) ინვენტარიზაცია.

3. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე პირის მიმართ არ გამოიყენება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 286-ე მუხლის პირველი - მე-4 ნაწილებით დადგენილი სანქციები. (21.02.2012 N 54)

თავი III მცირე ბიზნესი

მუხლი 11. მცირე ბიზნესის სტატუსი

1. მცირე ბიზნესის სტატუსი შესაძლებელია მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც არის მეწარმე ფიზიკური პირი და იმყოფება საგადასახადო აღრიცხვაზე.

2. მცირე ბიზნესის სტატუსი (შემდგომში – მცირე ბიზნესი) შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს, რომლის ეკონომიკურ საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 100 000 ლარს, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

მაგალითი 1:

პირობა:

ჯონდი არის მეწარმე ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას – ინდივიდუალურად ეწევა „ვაჭრობას“. ჯონდის აზრით (წინასწარი ვარაუდით), მიმდინარე საანგარიშო წლის განმავლობაში ვაჭრობის შედეგად მოსალოდნელი დასაბეგრი შემოსავალი იქნება 90 000 ლარი.

ანალიზი: (21.02.2012 N 54)

იქიდან გამომდინარე, რომ ჯონდის ვარაუდით მისაღები მოსალოდნელი დასაბეგრი შემოსავალი ვერ გადააჭარბებს 100 000 ლარს, ჯონდი აკმაყოფილებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 88-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ მცირე ბიზნესის სტატუსის მოთხოვნებს, შესაბამისად მას უფლება აქვს მიმართოს საგადასახადო ორგანოს და მიიღოს მცირე ბიზნესის სტატუსი.

შედეგი:

ჯონდის მოთხოვნის შემთხვევაში მიენიჭება მცირე ბიზნესის სტატუსი და გადაეცემა სტატუსის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

3. მცირე ბიზნესისთვის „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №415 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №5-ით განსაზღვრული შემოსავლები: (20.03.2012 N 88)

ა) მიუხედავად ამ შემოსავლების ოდენობისა, მცირე ბიზნესის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავლის 100000-ლარიანი ზღვრის განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება;

ბ) იბეგრება ჩვეულებრივი წესით, როგორც დაიბეგრებოდა მცირე ბიზნესის სტატუსის არარსებობის შემთხვევაში.

4. მცირე ბიზნესის სტატუსი არ შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, თუ: (20.03.2012 N 88)

ა) იგი ახორციელებს „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №415 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №4-ით განსაზღვრულ საქმიანობას (შემდგომში – მცირე ბიზნესისთვის აკრძალული საქმიანობა), რომლის განხორციელება მცირე ბიზნესის მიერ აკრძალულია და იწვევს სტატუსის გაუქმებას;

ბ) იგი რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას უფლება აქვს და მიმართავს საგადასახადო ორგანოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით.

3. მცირე ბიზნესისთვის „მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირებისათვის აკრძალული საქმიანობებისა და საქმიანობებისა და შემოსავლების სახეების, რომლებიც არ დაიბეგრება ან/და, რომლებზეც არ გავრცელდება სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები, განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №415 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №5-ით განსაზღვრული შემოსავლები: (21.02.2012 N 54)

ა) მიუხედავად ამ შემოსავლების ოდენობისა, მცირე ბიზნესის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავლის 100000-ლარიანი ზღვრის განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება;

ბ) იბეგრება ჩვეულებრივი წესით, როგორც დაიბეგრებოდა მცირე ბიზნესის სტატუსის არარსებობის შემთხვევაში.

4. მცირე ბიზნესის სტატუსი არ შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, თუ: (21.02.2012 N 54)

ა) იგი ახორციელებს „მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირებისათვის აკრძალული საქმიანობებისა და საქმიანობებისა და შემოსავლების სახეების, რომლებიც არ დაიბეგრება ან/და რომლებზეც არ გავრცელდება სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები, განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №415 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №4-ით განსაზღვრულ საქმიანობას (შემდგომში – მცირე ბიზნესისთვის აკრძალული საქმიანობა), რომლის განხორციელება მცირე ბიზნესის მიერ აკრძალულია და იწვევს სტატუსის გაუქმებას;

ბ) იგი რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას უფლება აქვს და მიმართავს საგადასახადო ორგანოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით.

მუხლი 12. მეწარმე ფიზიკური პირისათვის მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭება

1. ფიზიკური პირი: (21.02.2012 N 54)

ა) თუ იგი წარმოადგენს მეწარმე ფიზიკურ პირს, მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებისათვის განცხადებით (ამ ინსტრუქციის დანართი №1) მიმართავს საგადასახადო ორგანოს;

ბ) თუ იგი არ წარმოადგენს მეწარმე ფიზიკურ პირს, მაშინ:

ბ.ა) „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებისას საგადასახადო აღრიცხვაზე აყვანის მიზნით და მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებისათვის განცხადებით (ამ ინსტრუქციის დანართი №1) მიმართავს საგადასახადო ორგანოს;

ბ.ბ) სხვა შემთხვევაში, გარდა ამ პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტში მითითებული შემთხვევისა, ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში ინდივიდუალურ მეწარმედ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში და აღნიშნული რეგისტრაციის შემდეგ მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებისათვის განცხადებით (ამ ინსტრუქციის დანართი №1) მიმართავს საგადასახადო ორგანოს.

2. ფიზიკურ პირს, რომელსაც მინიჭებული აქვს მიკრობიზნესის სტატუსი და სურს მიენიჭოს მცირე ბიზნესის სტატუსი, მიკრობიზნესის სტატუსის გაუქმებისა და მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებისათვის საგადასახადო ორგანოს მიმართავს ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

3. ამოღებულია (11.04.2011 N 207)

4. თუ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული მეწარმე ფიზიკური პირის ბოლო 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა დღგ-ის გარეშე არ აღემატება 100 000 ლარს, გადასახადის გადამხდელს შეუძლია მიმართოს საგადასახადო ორგანოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმებისა და მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით. აღნიშნულ შემთხვევაში: (21.02.2012 N 54)

ა) დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში საქონლის ნაშთი, რომელზედაც გადამხდელს მიღებული ან მისაღები აქვს ჩათვლა, იბეგრება დღგ-ით, რადგან განიხილება როგორც დღგ-ის დასაბეგრი მიწოდება (მხოლოდ დღგ-ის მიზნებისათვის);

ბ) პირი ვალდებულია, მიუხედავად მცირე ბიზნესის სტატუსის მიღებისა, შეასრულოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმებასთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად;

გ) მიმდინარე საგადასახადო წლის 1 იანვრიდან მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებამდე განხორციელებული ოპერაციების შედეგად მიღებული შემოსავლები პირმა უნდა ასახოს მიმდინარე წლის ამ ბრძანებით დამტკიცებული „მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირების მიერ დეკლარაციის ფორმისა, მისი შევსებისა და წარდგენის წესი“ ინსტრუქციის (დანართი №2) შესაბამისად მიკრო და მცირე ბიზნესის წლიურ საშემოსავლო დეკლარაციაში და დაბეგროს მცირე ბიზნესისთვის დადგენილი წესის შესაბამისად.

5. საგადასახადო ორგანო განიხილავს განცხადებას (ამ ინსტრუქციის დანართი №1) სტატუსის მინიჭების თაობაზე და განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში,

განცხადების მიღებიდან გონივრულ ვადაში გასცემს მცირე ბიზნესის სერტიფიკატს (ამ ინსტრუქციის დანართი №3). (21.02.2012 N 54)

6. მცირე ბიზნესის სტატუსი პირს ენიჭება განცხადებაში მითითებული თარიღიდან, რომელიც არ უნდა უსწრებდეს განცხადების საგადასახადო ორგანოში რეგისტრაციის თარიღს. მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების თარიღი ფიქსირდება საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემულ მცირე ბიზნესის სერტიფიკატში და პირი სტატუსის მქონედ ითვლება აღნიშნული თარიღიდან. (21.02.2012 N 54)

7. მცირე ბიზნესის სერტიფიკატი ძალაშია შემდგომ საანგარიშო პერიოდებშიც, თუ ფიზიკურ პირს არ უუქმდება მცირე ბიზნესის სტატუსი.

8. მეწარმე ფიზიკურ პირს, რომელსაც გაუუქმდა მცირე ბიზნესის სტატუსი, უფლება აქვს სტატუსის ხელახალი მინიჭების მოთხოვნით მიმართოს საგადასახადო ორგანოს და კვლავ მიიღოს სტატუსი ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში:

ა) თუ სტატუსის გაუქმებიდან მომავალი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა არ აღემატება 100 000 ლარს;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, სტატუსის გაუქმებიდან 12 კალენდარული თვის მომდევნო წლიდან, თუ პირი არ არის დღგ-ის გადამხდელი.

მაგალითი 1:

პირობა:

ჯონდის 2011 წელის 25 ოქტომბერს გააუქმდა მცირე ბიზნესის სტატუსი, ვინაიდან გადააჭარბა დღგ-ის მიზნებისთვის დადგენილ 100 000-ლარიან ზღვარს და ვალდებული გახდა დარეგისტრირებულიყო დღგ-ის გადამხდელად. აღნიშნული პერიოდიდან 2012 წლის 26 ოქტომბრამდე მისმა დასაბეგრმა ოპერაციების საერთო თანხამ შეადგინა 90000 ლარი. აქედან გამომდინარე, ჯონდიმ გადაწყვიტა მცირე ბიზნესის სტატუსის აღდგენა.

ანალიზი:

ჯონდიმ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 159-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით 2012 წლის 26 ოქტომბერს მიმართა საგადასახადო ორგანოს დღგ-ის გადამხდელის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე, რომელიც გაუუქმდა ამ საანგარიშო პერიოდის შემდგომი თვიდან, ამ შემთხვევაში 2012 წლის 1 ნოემბრიდან. დღგ-ის რეგისტრაციის გაუქმების დღის მომდევნო სამუშაო დღეს, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 89-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, საგადასახადო ორგანოს მიმართა განცხადებით მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების თაობაზე.

შედეგი:

ჯონდის მცირე ბიზნესის სტატუსი კვლავ მიენიჭება 2013 წელს. (21.02.2012 N 54)

შენიშვნა: აღნიშნული მაგალითის შესაბამისად დაშვებულია, რომ ჯონდი არ იმყოფება კვარტალურ დეკლარირებაზე და გადასახადის გადახდაზე.

9. მცირე ბიზნესის სტატუსის ხელახალი მინიჭების შემთხვევაში ფიზიკურ პირზე გაიცემა სერტიფიკატი ახალი სარეგისტრაციო ნომრით.

10. მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების თაობაზე მეწარმე ფიზიკური პირის შესახებ ინფორმაცია შეიტანება შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ ბაზაში.

მუხლი 13. მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავლის განსაზღვრა, გადასახადის განაკვეთი და დაბეგვრის წესი

1. მცირე ბიზნესის ერთობლივი შემოსავალი შედგება:

ა) შემოსავლისგან, რომელიც ექვემდებარება სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას და მოიცავს საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს, გარდა ამ მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნული შემოსავლებისა და ხელფასის სახით მიღებული შემოსავლებისა;

ბ) შემოსავლისგან, რომელიც იბეგრება ჩვეულებრივი რეჟიმით და მოიცავს მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირის მიერ „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №415 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №5-ით განსაზღვრული შემოსავლების სახეების მიხედვით მიღებულ ერთობლივ შემოსავლებს; (20.03.2012 N 88)

გ) სხვა შემოსავლებისგან, რომელიც იბეგრება ჩვეულებრივი რეჟიმით, გარდა ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული შემოსავლებისა.

2. მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც ექვემდებარება სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას, შედგება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავლებისაგან და იბეგრება: (21.02.2012 N 54)

ა) 3%-ით, თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირს აქვს ამ ნაწილში აღნიშნული ერთობლივი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ერთობლივი შემოსავლის 60%-ის ოდენობის ხარჯების (გარდა დაქირავებულზე დარიცხული ხელფასის ხარჯისა) დამადასტურებელი დოკუმენტები;

ბ) 5%-ით, გარდა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული შემთხვევისა.

3. მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც არ ექვემდებარება სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას:

ა) გაიანგარიშება საქართველოს საგადასახდო კოდექსის მე-80 მუხლის მიხედვით, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავლების გათვალისწინებით; (21.02.2012 N 54)

ბ) იბეგრება ჩვეულებრივი წესით, როგორც დაიბეგრებოდა მცირე ბიზნესის სტატუსის არარსებობის შემთხვევაში.

მაგალითი 1:

პირობა:

ჯონდის აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი და ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, კერძოდ, ფლობს „მინი-მარკეტს“, სადაც ახორციელებს სურსათის საცალო ვაჭრობას და საიდანაც წლის განმავლობაში მისი ერთობლივი შემოსავალი შეადგენს 90000 ლარს. ამასთან, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში:

X საწარმოსაგან, რომელზეც გასესხებული აქვს თანხა, მიიღო შემოსავალი 6000 ლარის ოდენობით პროცენტის სახით.

გაყიდა საცხოვრებელი სახლი 62000 ლარად, რომელიც წინა წელს შეძენილი ჰქონდა 50000 ლარად.

გერმანული საწარმოდან, რომელშიც ფლობს 5%-იან წილს, დივიდენდის სახით მიიღო 13000 ლარის შემოსავალი.

ქართული საწარმოსგან, სადაც მუშაობს კონსულტანტად, ხელფასის სახით მიიღო 15000 ლარის შემოსავალი.

ანალიზი:

ამ შემთხვევაში ჯონდის საქართველოში ვაჭრობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი ექვემდებარება სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას.

პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი, ქონების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი და დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი არის განსაზღვრული მთავრობის მიერ, როგორც ჩვეულებრივი რეჟიმით დასაბეგრი შემოსავალი.

ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი ნებისმიერ შემთხვევაში ექვემდებარება ჩვეულებრივი რეჟიმით დაბეგვრას.

შედეგი:

საქართველოში ვაჭრობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი დაიბეგრება მცირე ბიზნესისთვის დადგენილი 5%-იანი განაკვეთით ($90000 \times 5\%$), ხოლო სხვა შემოსავლები ჩვეულებრივი რეჟიმის შესაბამისად, ანუ:

პროცენტი დაიბეგრება – პროცენტისთვის დადგენილი 5%-იანი განაკვეთით ($6000 \times 5\%$), ქონების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი ($62000 - 50000$) 20%-იანი განაკვეთით ($12000 \times 20\%$), ხოლო დივიდენდი არის უცხოეთიდან მიღებულ შემოსავალში და შესაბამისად გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისგან.

ხელფასის სახით მიღებულ შემოსავალს კი ქართული საწარმო ჯონდის დაუკავებს წყაროსთან 20%-იანი განაკვეთით (3000 ლარის ოდენობით).

მაგალითი 2: (12.07.2012 N 247)

პირობა:

პირობები იგივეა, რაც პირველ მაგალითში, იმ განსხვავებით, რომ ჯონდის გააჩნია საქართველოში ვაჭრობიდან მიღებულ ერთობლივ შემოსავალთან დაკავშირებული 60%-ის ოდენობის ხარჯების (გარდა დაქირავებულზე დარიცხული ხელფასის ხარჯისა) დამადასტურებელი დოკუმენტები. კერძოდ: ჯონდიმ შეიძინა 80 ათასი ლარის საქონელი, თუმცა მიმდინარე წელს აღნიშნული საქონლიდან მოახდინა მხოლოდ 70 ათასი ლარის საქონლის რეალიზაცია 90 ათას ლარად. ამ შემთხვევაში, ჯონდის მიერ გაწეული ერთობლივ შემოსავალთან დაკავშირებული ხარჯის ოდენობაა 70 ათასი (და არა 80 ათასი) ლარი.

შედეგი:

საქართველოში ვაჭრობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი დაიბეგრება მცირე ბიზნესისთვის დადგენილი 3%-იანი განაკვეთით ($90000 \times 3\%$), ხოლო სხვა შემოსავლები – ჩვეულებრივი რეჟიმით.

მაგალითი 3: ამოღებულია (21.02.2012 N 54)

მუხლი 14. საგადასახადო ვალდებულების შესრულება მცირე ბიზნესის სტატისის მიღებისას და გაუქმებისას

1. თუ ფიზიკური პირი მიმდინარე საანგარიშო წელს გადაწყვეტს მცირე ბიზნესის სტატუსის მიღებას და დაბეგვრის სხვა რეჟიმიდან მცირე ბიზნესის დაბეგვრის რეჟიმზე გადასვლას, მის მიერ საანგარიშო პერიოდში მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებამდე

მიღებული შემოსავლები ექვემდებარება მცირე ბიზნესისთვის დადგენილი სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას.

2. თუ მიმდინარე წლის განმავლობაში ფიზიკურ პირს გაუუქმდა მცირე ბიზნესის სტატუსი, მის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში სტატუსის გაუქმებამდე მიღებული შემოსავალი, გარდა ამ ინსტრუქციის მე-18 მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, ექვემდებარება დაბეგვრას მცირე ბიზნესისთვის დადგენილი სპეციალური წესის შესაბამისად, ხოლო სტატუსის გაუქმების შემდეგ მიღებული შემოსავალი ექვემდებარება საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრას საერთო წესით. (21.02.2012 N 54)

მუხლი 15. მცირე ბიზნესის მიმდინარე გადასახდელები, დეკლარაციის წარდგენა და გადასახადის წყაროსთან დაკავება

1. მცირე ბიზნესი ვალდებულია მიმდინარე გადასახდელების თანხები ბიუჯეტში შეიტანოს გასული საგადასახადო წლის წლიური გადასახადის მიხედვით, გარდა, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, შემდეგი ოდენობით: (30.06.2014 N 197)

- ა) არაუგვიანეს 15 მაისისა - 25 პროცენტი;
- ბ) არაუგვიანეს 15 ივლისისა - 25 პროცენტი;
- გ) არაუგვიანეს 15 სექტემბრისა - 25 პროცენტი;
- დ) არაუგვიანეს 15 დეკემბრისა - 25 პროცენტი.

2. მცირე ბიზნესი მიმდინარე გადასახდელებს არ იხდის, თუ:

ა) საქმიანობა დაიწყო ან/და მცირე ბიზნესის სტატუსი მიენიჭა მიმდინარე საანგარიშო წელს; (21.02.2012 N 54)

ბ) მას წინა საანგარიშო წელს მინიჭებული ჰქონდა მცირე ბიზნესის სტატუსი და იგივე წელი დაასრულა მიკრობიზნესის სტატუსით.

3. თუ პირს გაუუქმდა მცირე ბიზნესის სტატუსი და სტატუსის გაუქმების შემდეგ მიღებული შემოსავალი იბეგრება საშემოსავლო გადასახადის საერთო წესის შესაბამისად, პირს მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების საანგარიშო წლის მიმდინარე გადასახდელები ერიცხება მცირე ბიზნესისათვის დადგენილი განაკვეთით. (30.06.2014 N 197)

4. მცირე ბიზნესის მიერ მიმდინარე გადასახდელების გადახდის მიზნით, ამ მუხლის პირველი – მე-3 პუნქტების გათვალისწინებით, გამოიყენება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 155-ე მუხლის დებულებები.

5. მცირე ბიზნესს არ ევალება:

ა) მიღებული მომსახურების ანაზღაურების შემთხვევაში გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება. ამასთან, არარეზიდენტი პირისაგან მიღებული მომსახურების ანაზღაურების შემთხვევაში იგი ვალდებულია ოპერაცია დაბეგროს დღგ-ით საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული უკუდაბეგვრის წესით;

ბ) კალენდარული წლის განმავლობაში ერთობლივი შემოსავლის 25 პროცენტის ფარგლებში გაცემულ სახელფასო ხარჯზე გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება.

6. მცირე ბიზნესს კალენდარული წლის განმავლობაში ერთობლივი შემოსავლის 25 პროცენტის ზემოთ გაცემულ სახელფასო თანხებზე ეკისრება საგადასახადო აგენტის ვალდებულება. იგი ვალდებულია 25 პროცენტის ზემოთ გაცემულ სახელფასო თანხებზე საანგარიშოს მოდევნო წლის 15 იანვრამდე გაიანგარიშოს და ბიუჯეტში ჩარიცხოს

გადახდის წყაროსთან დასაკავებელი გადასახადი, რის შესახებაც იგი წარადგენს საგადასახადო ორგანოში გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციას.

მაგალითი 1 (12.07.2012 N 247)

პირობა:

ჯონდის მცირე ბიზნესის სტატუსი მიენიჭა 2011 წლის აგვისტოში. სტატუსის მინიჭებამდე ჯონდის დაქირავებულ თანამშრომლებზე გაცემული ჰქონდა გადახდის წყაროსთან დაბეგრილი ხელფასები. კალენდარული წლის განმავლობაში (2011წ.) ჯონდის მიერ გაცემულმა სახელფასო ანაზღაურებამ არ გადააჭარბა 25%-ს, შესაბამისად, ჯონდის არ წარმოეშვა გადახდის წყაროსთან დაუბეგრავი ხელფასის გადაანგარიშებისა და საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვალდებულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჯონდიმ მიიჩნია, რომ მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებამდე (2011 წლის აგვისტომდე) გაცემული და გადახდის წყაროსთან დაბეგრილი ხელფასებიდან საშემოსავლო გადასახადი ექვემდებარება აღდგენას და დააზუსტა 2011 წლის ყოველთვიური დეკლარაციები (შეიმცირა საშემოსავლო გადასახადის თანხა).

შედეგი:

ჯონდის ქმედება მართლზომიერია.

7. მცირე ბიზნესი ვალდებულია საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე საგადასახადო ორგანოში წარადგინოს გამარტივებული საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია ამ ბრძანების „მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირების მიერ დეკლარაციის ფორმისა, მისი შევსებისა და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №2) შესაბამისად.

8. ამოღებულია (21.02.2012 N 54)

9. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი საქართველოში ეკონომიკური საქმიანობის შეწყვეტისას საგადასახადო ორგანოს 30 სამუშაო დღის ვადაში წარუდგენს დეკლარაციას. ამასთან, თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი შემდგომში მიმდინარე საგადასახადო წლის დასრულებამდე არ განაახლებს ეკონომიკურ საქმიანობას საანგარიშო წლის მიხედვით, მომდევნო წლის 1 აპრილამდე საგადასახადო ორგანოში განმეორებით დეკლარაციის წარადგენა სავალდებულო არ არის (იხილეთ მე-5 მუხლის მაგალითი 3). (21.02.2012 N 54)

10. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი ვალდებულია საგადასახადო წლის დამთავრებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში საგადასახადო ორგანოში წარადგინოს „ინფორმაცია საანგარიშო წლის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ“. (12.07.2012 N 247)

მუხლი 16. მცირე ბიზნესის შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა

1. მცირე ბიზნესმა უნდა აწარმოოს ხარჯების აღრიცხვის სპეციალური ჟურნალი ამ ბრძანების „მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირების მიერ ხარჯების აღრიცხვის სპეციალური ჟურნალის ფორმისა და წარმოების წესის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №3) შესაბამისად.

2. თუ მცირე ბიზნესი იყენებს ამ ბრძანების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად დასაბეგრი შემოსავლის 3%-იანი დაბეგვრის უფლებას, იგი ვალდებულია ამ

შემოსავალთან დაკავშირებული შესაბამისი ხარჯების დადასტურება მოახდინოს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად. (21.02.2012 N 54)

3. მცირე ბიზნესი ვალდებულია საქონლის/მომსახურების მიწოდების დროს მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას შემოსავლები აღრიცხოს საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენებით.

4. გარდა ამ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული აღრიცხვის მეთოდებისა, მცირე ბიზნესს უფლება აქვს არ აწარმოოს შემოსავლებისა და ხარჯების სხვაგვარად აღრიცხვა.

5. მცირე ბიზნესი ვალდებულია მისთვის ან მის მიერ გამოწერილი პირველადი საგადასახადო დოკუმენტი შეინახოს დადგენილი წესით.

6. მცირე ბიზნესი ვალდებულია უზრუნველყოს 6 წლის ვადით საგადასახადო დოკუმენტების შენახვა.

6¹. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის მიმართ არ გამოიყენება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 286-ე მუხლის პირველი - მე-4 ნაწილებით დადგენილი სანქციები. (21.02.2012 N 54)

7. მცირე ბიზნესის მიერ წლის განმავლობაში მიღებული ზარალი მომდევნო საგადასახადო წელს არ გადაიტანება, თუ არ ხდება სპეციალური დაბეგვრის რეჟიმიდან მისი გამოსვლა.

მაგალითი 1:

პირობა:

ჯონდი, რომელიც არის მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი, ეწევა სავაჭრო საქმიანობას და მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ასეთი საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 85 000 ლარი, ხოლო ამ შემოსავლის მისაღებად მას მოუწია 92 000 ლარის ოდენობის ხარჯების გაწევა.

ანალიზი:

მიუხედავად იმისა, რომ ჯონდიმ მიმდინარე წელი 7 000-ლარიანი ზარალით დაასრულა, მას უფლება არ აქვს 7 000 ლარის ოდენობის ზარალი, რომელიც უკავშირდება სპეციალური რეჟიმით დასაბეგრ ერთობლივ შემოსავალს, მომდევნო წელს გადაიტანოს და აღნიშნული თანხით შეამციროს მომდევნო წლის დასაბეგრი შემოსავალი.

შედეგი:

ჯონდი მიმდინარე წლის 7 000 ლარის ოდენობის ზარალს მომდევნო წელს ვერ გადაიტანს.

8. მცირე ბიზნესი ვალდებულია დღ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციაზე დადგომის ვალდებულების წარმოშობის მომენტიდან საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით აღრიცხოს შემოსავლები და ხარჯები.

მუხლი 17. მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმებისას სასაქონლო მარაგების აღრიცხვა

1. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირს სტატუსის გაუქმების შემთხვევაში უფლება აქვს ამ მომენტისთვის არსებული სასაქონლო ნაშთები აღრიცხოს შესაბამის დოკუმენტში და მომავალში საქონელი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 286-ე მუხლის მიზნებისათვის ჩაითვლება აღრიცხულად.

მაგალითი 1:

პირობა: (21.02.2012 N 54)

ჯონდის აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი და ვაჭრობს ტექსტილით პატარა მაღაზიაში, თუმცა 2011 წლის 15 სექტემბერს მისი სპეციალური რეჟიმით დასაბეგრი ერთობლივი შემოსავალი იყო 99900 ლარი, მეორე დღეს განახორციელა 200-ლარიანი ოპერაცია და გადააჭარბა მცირე ბიზნესისთვის დადგენილ ზღვარს და შეადგინა 100100 ლარი. ჯონდის ამ მომენტისთვის შესყიდვების მიხედვით მარაგების სახით აქვს შარვალი (100 ცალი – 10000 ლარის), პერანგი (1000 ცალი 12000 ლარის) და მაისური (1200 ცალი – 15000 ლარის).

ანალიზი:

ვინაიდან ჯონდიმ გადააჭარბა მცირე ბიზნესისთვის დადგენილ 100 000-ლარიან ზღვარს, მას გაუუქმდა მცირე ბიზნესის სტატუსი. ამასთან, ჯონდის უფლება აქვს აღრიცხოს ამ მომენტისათვის არსებული სასაქონლო მარაგების ნაშთი.

შედეგი:

ა) ჯონდიმ შექმნა დოკუმენტი, სადაც აღრიცხულია ამ მომენტისთვის მისი სასაქონლო ნაშთები შემდეგი ოდენობით:

სასაქონლო მარაგების ნაშთების აღრიცხვა
დოკუმენტი № XXX

1. შარვალი – 10000 ლარი;

2. მაისური – 15000 ლარი;

3. პერანგი – 12000 ლარი.

სულ სასაქონლო ნაშთი – 37 000 ლარი.

გადასახადის გადამხდელი (სახელი და გვარი) – ჯონდი

(საიდენტიფიკაციო კოდი) XXXXXXXXXXXX

თარიღი : 16 სექტემბერი 2011 წელი

ბ) ჯონდის აღნიშნული სასაქონლო ნაშთები ჩაეთვლება აღრიცხულად.

შენიშვნა: მცირე ბიზნესს უფლება აქვს სასაქონლო მარაგების ნაშთების აღრიცხვა განახორციელოს ამ ინსტრუქციის დანართი №4-ით დადგენილი ფორმით ან სხვა ფორმით, მისი შეხედულებისამებრ, რომელიც აუცილებლად უნდა მოიცავდეს ამ ინსტრუქციის დანართი №4-ით დადგენილი ფორმის რეკვიზიტებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლების გამოყენების შემთხვევაში ფიზიკურ პირს შეუძლია ამ მომენტისთვის არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთები საბაზრო ღირებულებით შეაფასოს და აღრიცხოს სასაქონლო-მატერიალური მარაგის ნაშთად შესაბამის დოკუმენტში, რომლის საერთო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 30000 ლარს. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს მარაგებზე ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელშიც შეტანილი იქნება ინფორმაცია ამ მარაგების სახეობის, ოდენობისა და ღირებულების შესახებ.

მაგალითი 2:

პირობა იგივეა, რაც პირველ მაგალითში, ამასთან ჯონდიმ შეაფასა თავისი მარაგები და აღმოჩნდა, რომ შარვლების საბაზრო ღირებულება (სარეალიზაციო ფასი) იყო 12000 ლარი, პერანგების – 15000 ლარი და მაისურების – 18000 ლარი.

ანალიზი:

ანალიზი იგივეა, რაც პირველ მაგალითში, მაგრამ ჯონდის უფლება აქვს 30000 ლარის საბაზრო ღირებულების მარაგებზე შექმნას ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი (მაგალითად, შარვლებზე, პერანგებზე ან მაისურებზე (არჩევანი ამ შემთხვევაში, თუ

რომელ საქონელს აირჩევს და რა ოდენობით აქვს ჯონდის)). დავუშვათ, 30000 ლარის საბაზრო ღირებულების ფარგლებში ჯონდიმ გადაწყვიტა ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი შეექმნა შარვლებზე (საბაზრო ღირებულება 12 000), პერანგებზე (საბაზრო ღირებულება 15 000) და მაისურებზე (საბაზრო ღირებულება 3 000).

შედეგი:

ა) ჯონდიმ შექმნა დოკუმენტი, სადაც აღრიცხულია ამ მომენტისთვის მისი სასაქონლო ნაშთები, შემდეგი ოდენობით:

სასაქონლო მარაგების ნაშთების აღრიცხვა

დოკუმენტი №

1. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი საბაზრო ღირებულებით 30000 ლარამდე

1.1 შარვალი:

35 ცალი – მარკა „XXX“ 4 000 ლარი;

40 ცალი – მარკა „CCCC“ 5 000 ლარი;

25 ცალი – მარკა „SSS“ 3 000 ლარი;

სულ: 100 ცალი - 12 000 ლარი

1.2 პერანგი:

320 ცალი – მარკა „XXX“ 6 000 ლარი;

450 ცალი – მარკა „CCCC“ 7 000 ლარი;

230 ცალი – მარკა „SSS“ 2 000 ლარი;

სულ: 1000 ცალი – 15000 ლარი;

1.3 მაისური:

100 ცალი – მარკა „XXX“ 2200 ლარი;

30 ცალი – მარკა „SSS“ 800 ლარი;

სულ: 130 ცალი – 3000 ლარი;

2. სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი

2.1 მაისურები:

1070 ცალი (1200-130) – 13600 ლარი (დაშვებულია, რომ აღნიშნული ფასი წარმოადგენს 1070 ცალი მაისურის შესყიდვის ფასს)

გადასახადის გადამხდელი (სახელი და გვარი) – ჯონდი

(საიდენტიფიკაციო კოდი) XXXXXXXXXXXX

თარიღი: 16 სექტემბერი 2011 წელი

ბ) ჯონდის საბაზრო ღირებულებით აღრიცხული სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი ეთვლება როგორც აღრიცხულად, ასევე შეუძლია მომავალში გაატაროს ხარჯად, ანუ გამოქვითოს ერთობლივი შემოსავლიდან, ხოლო სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი ეთვლება მხოლოდ აღრიცხულად და არ შეუძლია მომავალში გაატაროს ხარჯად.

შენიშვნა: მცირე ბიზნესს უფლება აქვს სასაქონლო მარაგების ნაშთების აღრიცხვა განახორციელოს ამ ბრძანებით დამტკიცებული ამ ინსტრუქციის დანართი №4 დადგენილი ფორმით ან სხვა ფორმით, მისი შეხედულებისამებრ, რომელიც აუცილებლად უნდა მოიცავდეს ამ ინსტრუქციის დანართი №4-ის ფორმის რეკვიზიტებს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლების გამოყენების შემთხვევაში ფიზიკური პირი ვალდებულია, აღრიცხული სასაქონლო-მატერიალური მარაგის

ფაქტობრივი ნაშთის საერთო ღირებულების თანხით გაზარდოს მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმებამდე არსებული საანგარიშო წლის დასაბეგრი შემოსავალი.

მაგალითი 3:

პირობა:

პირობა იგივეა, რაც პირველ და მეორე მაგალითებში.

ანალიზი:

ანალიზი იგივეა, რაც პირველ და მეორე მაგალითებში, ამასთან ჯონდი ვალდებულია მცირე ბიზნესის რეჟიმით დასაბეგრ შემოსავალს დაუმატოს იმ სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება, რომლებზეც მიიღო ხარჯის გამოქვითვის უფლება, ამ შემთხვევაში 30000 ლარი.

შედეგი:

მცირე ბიზნესის დაბეგრის რეჟიმით დაიბეგრება 130000 ლარი (99900+100+30000).

4. თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირს სტატუსის გაუქმების მომენტისთვის გააჩნია არსებულ სასაქონლო ნაშთებზე ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი ან აღრიცხული აქვს შესაბამისი ნაშთები, მას უფლება აქვს არ გამოიყენოს ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების დებულებები.

მუხლი 18. მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმება

1. მიმდინარე საგადასახადო წელს მცირე ბიზნესის სტატუსი უქმდება, თუ:

ა) ფიზიკურმა პირმა მიმართა საგადასახადო ორგანოს მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების მოთხოვნით არა უგვიანეს საგადასახადო წლის დასრულებამდე; (21.02.2012 N 54)

ბ) მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში ჯამური ერთობლივი შემოსავალი გადააჭარბებს 100 000 ლარს (აღნიშნული არ ეხება ამ ბრძანების მე-11 მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულ, საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული შემოსავლის სახეებს, რომელიც არ გაითვალისწინება აღნიშნული ერთობლივი შემოსავლის ზღვრის გაანგარიშებისას);

გ) ფიზიკურ პირს წარმოეშვა დღგ-ის სავალდებულო რეგისტრაციაზე დადგომის ვალდებულება;

დ) საგადასახადო ორგანოს მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა, რომ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის სასაქონლო მატერიალური მარაგების ნაშთი აღემატება 150 000 ლარს;

ე) ფიზიკურმა პირმა განახორციელა მცირე ბიზნესისთვის აკრძალული საქმიანობა;

ვ) მეწარმე ფიზიკურმა პირმა ამ ინსტრუქციის მოთხოვნების გათვალისწინებით საგადასახადო ორგანოს მიმართა მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმებისა და მიკრობიზნესის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით.

2. მცირე ბიზნესი ვალდებულია მცირე ბიზნესისთვის აკრძალული საქმიანობის განხორციელებამდე მიმართოს საგადასახადო ორგანოს მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების მოთხოვნით.

3. თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი განახორციელებს მცირე ბიზნესისთვის აკრძალულ საქმიანობას ან საკონტროლო სალარო აპარატების არგამოყენების თაობაზე კალენდარული წლის განმავლობაში 3-ჯერ დაეკისრება სანქცია, საგადასახადო ორგანო უუქმებს მას მცირე ბიზნესის სტატუსს და ფიზიკური პირი

გამოდის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმიდან. ამასთან, აღნიშნული იწვევს პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

4. თუ პირი მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში მიმართავს საგადასახადო ორგანოს სტატუსის გაუქმების მოთხოვნით, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა-ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მცირე ბიზნესის სტატუსი გაუქმებულად ითვლება მინიჭების დღიდან. (21.02.2012 N 54)

მუხლი 19. მცირე ბიზნესის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაცია

1. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი, რომელსაც დაუდგა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება, ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში საქართველოს საგადასახადო კოდექსის 157-ე მუხლის შესაბამისად და დადგენილ ვადაში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დღგ-ის გადამხდელად საგადასახადო ორგანოში რეგისტრაციის დღიდან (მათ შორის პირის რეგისტრაციის გარეშე გამოვლენისას, საგადასახადო ორგანოს მიერ პირის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შემთხვევაში პირის დღგ-ის გადამხდელად მიჩნევის მომენტიდან) ავტომატურად უქმდება მცირე ბიზნესის სტატუსი და პირი გამოდის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმიდან.

3. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულების დადგომისას ვალდებულია აღრიცხოს ამ მომენტისთვის სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი, რომელზეც უფლება აქვს ჩაითვალოს დღგ დადგენილი წესის შესაბამისად, თუ გააჩნია შესაბამისი დოკუმენტაცია.

მუხლი 20. მცირე ბიზნესის საგადასახადო კონტროლი

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირების მიმართ შეიძლება განხორციელდეს მიმდინარე საგადასახადო კონტროლის შემდეგი ღონისძიებები:

- ა) საქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვა;
- ბ) დათვალიერება;
- გ) საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვა;
- დ) ქრონომეტრაჟი;
- ე) ინვენტარიზაცია.

დანართი №1 (1.03.2011 N 114)

საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შემოსავლების სამსახურს

ფიზიკური პირი _____
(სახელი გვარი)

მისამართი _____

--	--	--	--	--	--	--	--	--	--

პირადი ნომერი პირადობის მოწმობის მიხედვით
გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაცნობებთ, რომ ვეწევი _____
საქმიანობას. (საქმიანობის სახე)
გთხოვთ 20 წლის „— „ — „ დაან:
მომანიჭოთ:

___ მიკრობიზნესის განმახორციელებელი პირის სტატუსი და მომცეთ შესაბამისი
სერტიფიკატი.

___ მცირე ბიზნესის განმახორციელებელი პირის სტატუსი და მომცეთ შესაბამისი
სერტიფიკატი.

გამიუქმოთ:

___ მიკრობიზნესის სტატუსი და ჩაიბაროთ მიკრობიზნესის № ---- სერტიფიკატი

___ მცირე ბიზნესის სტატუსი და ჩაიბაროთ მცირე ბიზნესის № ---- სერტიფიკატი.

ხელმოწერა

თარიღი „ — „ — „ 20 წელი

შენიშვნა:

1. შესაბამისი გრაფა აღინიშნება „V“ ნიშნით.

2. მიკრობიზნესის სტატუსის მინიჭებისათვის ფიზიკური პირი დამოუკიდებლად
(დაქირავებულ პირთა შრომის გარეშე) უნდა ეწეოდეს ეკონომიკურ საქმიანობას და მისი
მისაღები ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ უნდა
აღემატებოდეს 30 000 ლარს.

3. მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებისათვის ფიზიკური პირის ეკონომიკური
საქმიანობიდან მისაღები ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ
უნდა აღემატებოდეს 100 000 ლარს.

დანართი №2 (12.07.2012 N 247)

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური

**მიკრობიზნესის სტატუსის
ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი №
სერტიფიკატით დასტურდება, რომ**

ფიზიკურ პირს _____

(სახელი და გვარი)

--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

პირადი ნომერი

(საქმიანობის სახე)

მინიჭებული აქვს მიკრობიზნესის სტატუსი

--	--

--	--	--	--

სერტიფიკატის გაცემის თარიღი

--	--

--	--	--	--

დან

მიკრობიზნესის სტატუსი მინიჭებულია

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

დანართი №3 (12.07.2012 N 247)

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური
მცირე ბიზნესის სტატუსის
ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი №
სერტიფიკატით დასტურდება, რომ

ფიზიკურ პირს: _____

(სახელი და გვარი)

--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

პირადი ნომერი

(საქმიანობის სახე)

მინიჭებული აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი

--	--

--	--	--	--

სერტიფიკატის გაცემის თარიღი

--	--

--	--	--	--

დან

მცირე ბიზნესის სტატუსი მინიჭებულია

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

[illegible]

გადაშვდელის საიდენტიფიკაციო კოდი

2	
---	--

გადამზდელოი დასახელება (სახელი და გვარი)

3	
---	--

ნათესების აღრიცხვის დრო (დღე, თვე და რიცხვი სიტყვიერად)

4		
---	--	--

გადასახადის გადამხდელის
ხელმოწერა

5	
---	--

მოწვეული სპეციალისტის ზედმოწერა

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი საბაზრო ღირებულებით 30000 ლარამდე

რიგითი N	სასაქონლო ფასეულობების დასახელება და აღწერილობა	ზოგადი ერთეული	რაოდენობა	სასაქონლო- მატერიალური მარაგების ნაშთების ლირებულზე სადარიცხეო მონაცემების მიხედვით		სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთების საბაზრო ღირებულება	შენიშვნა
				ერთეულის ფასი	სულ		
1	2	3	4	5	6	7	8
	სულ:						

by: JS

სხვა სასაქონლო მარაგების ნაშთი

რიგითი N	სასაქონლო ფასეულობების დასახელება და აღწერილობა	აბსოლუტური ცუნიშები	პროცენტული ცუნიშები	სასაქონლო წაშვების ლიზებულება სადარიებო მონაცემების მიხედვით		შენიშვნა
				ერთეულის ფასი	სულ	
1	2	3	4	5	6	7
	სულ:					

by: _____

მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირების მიერ დეკლარაციის ფორმის, მისი შევსებისა და წარდგენის წესი

მუხლი 1. დეკლარაციის წარდგენა მიკრო და მცირე ბიზნესის მიერ (20.03.2012 N 88)

მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირები და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირები საგადასახადო ორგანოს საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით წარუდგენენ საშემოსავლო გადასახადის წლიურ დეკლარაციას ამ ინსტრუქციის დანართით განსაზღვრული ფორმით:

ა) საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე;

ბ) საქართველოში ეკონომიკური საქმიანობის შეწყვეტისას 30 სამუშაო დღის ვადაში;
(12.07.2012 N 247)

მუხლი 2. დეკლარაციის შევსების წესი

1. დეკლარაციის სატიტულო გვერდის და I განაყოფის შესაბამის უჯრებში აისახება:

ა) პირველ უჯრაში – გადასახადის გადამხდელის გვარი და სახელი. იმის მიხედვით, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი ავსებს დეკლარაციას თუ მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი, შესაბამისი სტრიქონის ცარიელ უჯრაში გაკეთდება აღნიშვნა «V» ნიშნით;

ბ) მე-2 უჯრაში – გადასახადის გადამხდელზე საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო რეგისტრაციისას მინიჭებული (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საიდენტიფიკაციო ნომერი;

გ) მე-3 უჯრაში – საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირის (გადასახადის გადამხდელის) პირადი ნომერი, პირადობის მოწმობის მიხედვით;

დ) მე-4 უჯრაში – დეკლარაციის სახე. იმის მიხედვით, დეკლარაცია პირველადია თუ დაზუსტებული, შესაბამისი სტრიქონის ცარიელ უჯრაში კეთდება აღნიშვნა „V“ ნიშნით;

ე) მე-5 უჯრაში – საგადასახადო (კალენდარული) წელი;

ვ) მე-6 უჯრაში – გადასახადის გადამხდელის საცხოვრებელი ან საქმიანობის ადგილის სრული მისამართი;

ზ) მე-7 უჯრაში – იმ საქმიანობის კოდი (ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის მიხედვით), რომელ საქმიანობასაც გადასახადის გადამხდელი თვლის ძირითადად;

თ) მე-8 უჯრაში – ეკონომიკური საქმიანობის შეწყვეტის თარიღი. უჯრებში ციფრები ჩაიწერება შემდეგი რიგითობით: რიცხვი, თვე და სრული წელი; (21.02.2012 N 54)

ი) მე-9 უჯრაში – იმ საგადასახადო ორგანოს სრული დასახელება, სადაც საგადასახადო აღიცხვავზე იმყოფება გადასახადის გადამხდელი. (1.03.2011 N 114)

2. დეკლარაციის II განაყოფის მე-10, მე-11, მე-12, მე-13, და მე-14 უჯრები ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ.

3. დეკლარაციის III განაყოფი (საშემოსავლო გადასახადის გაანგარიშება) შედგება ორი ნაწილისაგან: I ნაწილი – საშემოსავლო გადასახადის გაანგარიშება ჩვეულებრივი დაბეგვრის რეჟიმით და II ნაწილი – საშემოსავლო გადასახადის გაანგარიშება სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით.

4. დეკლარაციის III განაყოფის I ნაწილის (სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით) უჯრებში აისახება:

ა) მე-18 უჯრაში – შეიტანება საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი, იმის მიხედვით, თუ რომელ განაკვეთს ირჩევს მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი 5%-ს თუ 3%-ს, ხოლო მიკრობიზნესის შემთხვევაში ჩაიწერება 0%.

ბ) მე-19 უჯრაში – მიკრო და მცირე ბიზნესის სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებული ერთობლივი შემოსავალი. მათ შორის: (21.02.2012 N 54)

ბ.ა) 19¹ უჯრაში – საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან გათავისუფლებული შემოსავალი;

ბ.ბ) მე-20 უჯრაში – ივსება მხოლოდ მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის მიერ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 84-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემოსავალი, რომელზეც არ ვრცელდება ერთობლივი შემოსავლის 30 000 ლარიანი შეზღუდვა;

დ) 21-ე უჯრაში – სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებული შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები. მათ შორის:

დ.ა) 22-ე უჯრაში – ხელფასის სახით დაქირავებულებზე გადახდილი თანხები.

ვ) 23-ე უჯრაში – საშემოსავლო გადასახადი დასაბეგრ შემოსავალზე, რომელიც მიიღება მე-19 უჯრასა და 19¹ უჯრას შორის სხვაობის თანხის საშემოსავლო გადასახადის მე-18 უჯრაში მითითებულ განაკვეთზე გამრავლებით. (12.07.2012 N 247)

5. დეკლარაციის III განაყოფის II ნაწილი (ჩვეულებრივი დაბეგვრის წესით) ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 84-ე მუხლის მე-4 ნაწილისა და 88-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად გააჩნიათ „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №415 დადგენილებით განსაზღვრული შემოსავლების სახეები: (20.03.2012 N 88)

ა) 24-ე უჯრაში – ერთობლივი შემოსავალი, რომელიც მიღებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 84-ე მუხლის მე-4 და 88-ე მუხლის მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული საქმიანობებიდან. მათ შორის:

ბ) 25-ე უჯრაში – საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი. მათ შორის:

გ) 26-ე უჯრაში – ხელფასის სახით მიღებული;

დ) 27-ე უჯრაში – საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული შემოსავალი. მათ შორის:

ე) 28-ე უჯრაში – ხელფასის სახით მიღებული;

ვ) 29-ე უჯრაში – 24-ე უჯრაში ასახული ერთობლივი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული და გამოქვითვას დაქვემდებარებული ხარჯები (გარდა კაპიტალიზებადი და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 117-ე მუხლით განსაზღვრული ხარჯებისა);

ზ) 30-ე უჯრაში – წინა წლების აუნაზღაურებელი ზარალი, რომელიც ექვემდებარება გამოქვითვას, მაგრამ არა უმეტეს წინა 5 საგადასახადო წლის ზარალისა, უჯრის შევსებისას გაითვალისწინება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 121-ე და 122-ე მუხლებით დაწესებული ნორმები;

თ) 31-ე უჯრაში – დაბეგვრისაგან გათავისუფლებული შემოსავალი;

ი) 32-ე უჯრაში – ერთობლივ შემოსავალში (უჯრა 24) შეტანილი საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 154-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად გადახდის წყაროსთან დაბეგრილი შემოსავლები;

კ) 33-ე უჯრაში – შემოსავალი, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას, მიიღება: 24-ე უჯრაში ასახულ მონაცემს გამოკლებული 29-ე უჯრაში ასახული მონაცემი, გამოკლებული 30-ე უჯრაში ასახული მონაცემი, გამოკლებული დაბეგვრისაგან გათავისუფლებული შემოსავალი (უჯრა 31) და გამოკლებული საქართველოს წყაროდან მიღებული და გადახდის წყაროსთან დაბეგრილი შემოსავალი (უჯრა 32);

ლ) 34-ე უჯრაში – საშემოსავლო გადასახადი დასაბეგრ შემოსავალზე, რომელიც მიიღება 33-ე უჯრაში ასახული თანხის საშემოსავლო გადასახადის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 81-ე მუხლით დადგენილ განაკვეთზე გამრავლებით;

მ) 35-ე უჯრაში – სულ საშემოსავლო გადასახადი, რომელიც მიიღება 23-ე და 34-ე უჯრებში ასახული მონაცემების დაჯამებით;

ნ) 36-ე უჯრაში – საქართველოს საგადასახადო კოდექსის 155-ე მუხლით დადგენილი ნორმებით განსაზღვრული მომდევნო საგადასახადო წლის მიმდინარე გადასახდელების ოდენობა;

ო) 37-ე უჯრაში – გადასახადის გადამხდელის ან სხვა ვალდებული პირის ან/და მისი კანონიერი ან უფლებამოსილი წარმომადგენლის (ვინც ადასტურებს დეკლარაციაში მოცემული მონაცემების უტყუარობას და სისრულეს) გვარი და სახელი სრულად;

პ) 38-ე უჯრაში – 37-ე უჯრაში ასახული პირის ხელმოწერა;

ჟ) 39-ე უჯრაში – 37-ე უჯრაში ასახული პირის ხელმოწერის თარიღი. აღნიშნული უჯრის პირველ ორ განაყოფში აისახება ხელმოწერის რიცხვი, მომდევნო ორ განაყოფში – თვე და ბოლო ოთხ განაყოფში – წელი სრულად.

6. დეკლარაციის IV განაყოფში შეიტანება მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის ან მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირის საქმიანობის შესახებ ზოგადი ინფორმაცია: დაქირავებულთა რაოდენობა; ეკ. საქმიანობაში გამოყენებული აქტივების ღირებულება; საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის და ბოლოსათვის არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.

1	მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი	მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი
	გვარი, სახელი:	

2	გსნ										
---	-----	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

3	გპნ										
---	-----	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია

განყოფი I

4	დეკლარაციის სახე:	დაზუსტებული		5	წელი					
6	მისამართი:									
7	ეკონომიკური საქმიანობის სახე (NACE) კოდი									
8	საქმიანობის შეწყვეტის თარიღი									
9	წარედგინება:									
(საგადასახადო ორგანოს დასახელება)										

განყოფი II

(ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ)

10	დეკლარაციის მიღების თარიღი									
11	თანდართული დოკუმენტი		ფურცელზე							
12	რეგისტრაციის ნომერი									
13	დეკლარაციის მიმღების გვარი, სახელი									
14	დეკლარაციის მიმღების ხელმოწერა									

განყოფი III				
საშემოსავლო გადასახადის გაანგარიშება (ლარი)				
ერთობლივი შემოსავალი მათ შორის:			15	
სპეციალურ რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებული ერთობლივი შემოსავალი	16			
ჩვეულებრივი წესით დაბეგვრას დაქვემდებარებული ერთობლივი შემოსავალი	17			
ნაწილი I სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით				
საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი	18			
სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებული ერთობლივი შემოსავალი მათ შორის:			19	
დაბეგვრისაგან გათავისუფლებული შემოსავალი	19 ¹			
იმ საქმიანობებიდან მიღებული შემოსავლები, რომლებზეც არ ვრცელდება მიკრო ბიზნესის სტატუსისათვის დადგენილი ბრუნვის 30 000 ლარიანი ზღვარი	20			
სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებული შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები სულ მათ შორის:		21		
ხელფასის ხარჯი	22			
საშემოსავლო გადასახადი		23		

(21.02.2012 N 54)

ნაწილი II				
ჩვეულებრივი დაბეგვრის წესით				
ჩვეულებრივი წესით დაბეგვრას დაქვემდებარებული ერთობლივი შემოსავალი მათ შორის:			24	
საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული მათ შორის:	25			
ხელფასის სახით მიღებული	26			
საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული მათ შორის:	27			
ხელფასის სახით მიღებული	28			
გამოქვითვები სულ		29		
წინა წლების ზარალი, რომელიც ექვემდებარება გამოქვითვას		30		
დაბეგვრისაგან გათავისუფლებული შემოსავალი		31		
საქართველოს წყაროდან მიღებული და გადახდის წყაროსთან დაბეგვრილი შემოსავალი		32		
დასაბეგრი შემოსავალი რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას საქართველოს საგადასახადო კოდექსის 81-ე მუხლით დადგენილი საშემოსავლო გადასახადის განაკვეთით			33	
საშემოსავლო გადასახადი		34		
სულ საშემოსავლო გადასახადი		35		
განაცხადი მიმდინარე წლის გადასახდელებზე		36		
დეკლარაციაში მოცემული მონაცემების უტყუარობას და სისრულეს ვადასტურებ:				
37	გადამხდელის გვარი, სახელი			
38	გადამხდელის ხელმოწერა			
39	ხელმოწერის თარიღი			
შენიშვნა: 36-ე უჯრა ივსება მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირის მიერ, რომელსაც საანგარიშო წელს 35-ე უჯრაში დაუფიქსირდა გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი				

განყოფი IV	
ზოგადი ინფორმაცია	
დაქირავებულია რაოდენობა	
ეკ. საქმიანობაში გამოყენებული აქტივების ღირებულება	
საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	
საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	

დანართი №3

ინსტრუქცია

მცირე ბიზნესისთვის ხარჯების აღრიცხვის სპეციალური ჟურნალის წარმოების წესის შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 91-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, მცირე ბიზნესი ხარჯების აღრიცხვის მიზნით, ვალდებულია აწარმოოს ხარჯების აღრიცხვის სპეციალური ჟურნალი ამ ინსტრუქციის დანართის შესაბამისად.
2. ხარჯების აღრიცხვის სპეციალური ჟურნალი შეიძლება იყოს როგორც ქაღალდზე ნაბეჭდი, ისე ელექტრონული ფორმის.
3. მცირე ბიზნესი ხარჯის გაწევის შესახებ ინფორმაციას ხარჯების აღრიცხვის სპეციალურ ჟურნალში ასახავს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, რომელშიც დაცული უნდა იყოს მაჩვენებლების უწყვეტობა და უტყუარობა.
4. თუ მცირე ბიზნესს განზრახული აქვს ისარგებლოს მცირე ბიზნესის დაბეგვრის 3-პროცენტოვანი განაკვეთით, მას შეუძლია აღრიცხვის სპეციალურ ჟურნალში ასახოს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები.
5. ქაღალდზე ნაბეჭდი აღრიცხვის სპეციალურ ჟურნალში შეცდომის დაშვების შემთხვევაში შენიშვნის გრაფაში უნდა გაკეთდეს შესაბამისი ჩანაწერი, რომელიც უნდა დადასტურდეს ხელმოწერით.
6. ხარჯების აღრიცხვის სპეციალური ჟურნალი იხსნება ერთ კალენდარულ წელზე და უნდა იყოს დანომრილი.
7. კალენდარული წლის ბოლო დღეს ჟურნალი იხურება.
8. ჟურნალის შენახვის ვადაა არანაკლებ 6 წელი.

მუხლი 2. ხარჯების აღრიცხვის სპეციალური ჟურნალის შევსების წესი

ხარჯების აღრიცხვის სპეციალური ჟურნალის ყდაზე ინსტრუქციის დანართის პირველ გვერდზე მოცემული წესით მიეთითება:

- ა) საანგარიშო წელი;

- ბ) მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირის გვარი, სახელი;
- გ) საინდეფიკაციო ნომერი;
- დ) მცირე ბიზნესის სერტიფიკატის ნომერი;
- ე) განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობის სახე;
- ვ) საქმიანობის ადგილის ან ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილის მისამართი.

2. ხარჯების აღრიცხვის სპეციალური ჟურნალის (შემდეგში ჟურნალი) პირველ სვეტში მიეთითება ოპერაციის რიგითი ნომერი.

3. ჟურნალის მე-2 სვეტში მიეთითება ნაღდი ანგარიშსწორებით შეძენილი საქონლის დასახელება ან/და მიღებული მომსახურების სახე.

4. ჟურნალის მე-3 სვეტში მიეთითება ზომის ერთეული, მომსახურების მიღების შემთხვევაში არ ივსება.

5. ჟურნალის მე-4 სვეტში მიეთითება შესყიდული საქონლის ოდენობა, მომსახურების მიღების შემთხვევაში არ ივსება.

6. ხარჯების აღრიცხვის სპეციალური ჟურნალის მე-5 სვეტში მიეთითება ხარჯის გაწევის თარიღი.

7. ჟურნალის მე-6 სვეტში აისახება გაწეული ხარჯი თანხობრივ გამოსახულებაში.

8. ჟურნალის მე-7 სვეტის შევსება სავალდებულო არაა. იგი ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში მცირე ბიზნესის განზრახვით. ამ შემთხვევაში იგი მიუთითებს პირველადი საგადასახადო დოკუმენტის დასახელებას (სასაქონლო ზედნადები, ანგარიშ-ფაქტურა, მიღება-ჩაბარების აქტი და სხვა), ნომერს და თარიღს.

9. ჟურნალის მე-8 სვეტში (შენიშვნა) მითითება კეთდება შეცდომის დაშვების შემთხვევაში ან გადამხდელის გადაწყვეტილებით რაიმე მინიშნების გაკეთების შემთხვევაში.

მაგალითი:

ვახტანგი ბერიძე არის ინდივიდუალური მეწარმე, მისი საინდეფიკაციო ნომერია 22222222. მას მინიჭებული აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი, რომლის ნომერია №111111. იგი ფლობს მინიმარკეტს. მისი მინიმარკეტი იმყოფება მისამართზე: ქ. თბილისი, ჯიქიას ქ №X. მას განზრახული აქვს ისარგებლოს მცირე ბიზნესის გადასახადით დაბეგვრის 3-პროცენტიანი განაკვეთით, რისთვისაც უნდა აღრიცხოს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები. იგი ამ განაკვეთით ისარგებლებს, თუ მას ექნება ერთობლივი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ერთობლივი შემოსავლის 60%-ის ოდენობის ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ვახტანგმა 2011 წლის 7 მარტს, ბაზარში, ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე შეიძინა 1 ტომარა კარტოფილი 30 ლარად და 10კგ ხახვი 9 ლარად. ამასთან, იმავე დღეს საგადასახადო სასაქონლო ზედნადებით, რომლის ნომერია 11/12 შეიძინა 12 ცალი ნამცხვარი – ფასი 10 ლარი და 5 კგ ვაფლი – ფასი 10 ლარი. მან შპს „სხივს“ შესაკეთებლად გადასცა სასწორი, რომელსაც ავანსად გადაუხადა 5 ლარი, მომსახურების სრული ღირებულებაა 10 ლარი. მან აგრეთვე შპს „ტკბილი სასმელებისაგან“ ნისიად შეიძინა 1 ყუთი ლიმონათი ღირებულებით 15 ლარი.

ამ შემთხვევაში ი/მ ვახტანგ ბერიძე ჟურნალს შეავსებს შემდეგნაირად:

1. ამ ინსტრუქციის დანართის შესაბამისად ქაღალდზე ნაბეჭდი ჟურნალის ყდა ან ელექტრონული ჟურნალის საწყისი ფურცელი გამოიყურება ასე:

**მცირე ბიზნესის ხარჯების გამარტივებული აღრიცხვის სპეციალური ჟურნალი
2011 წელი**

გადამხდელი: ინდივიდუალური მეწარმე ვახტანგ ბერიძე

საიდენტიფიკაციო № 222222222

მცირე ბიზნესის სერტიფიკატის № 1111111

განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობის სახე: საცალო ვაჭრობა

საქმიანობის ადგილის მისამართი: ქ. თბილისი, ჯიქიას ქ №X.

2. ჟურნალში 2011 წლის 3 მარტს ვახტანგის მიერ გაკეთდება შემდეგი ჩანაწერები:

№	შემენილი საქონელი ან/და მიღებული მომსახურება	ზომ ის ერთ ეულ ი	რ ა ო დ ე ნ ო ბ ა	თარიღი	თანხა	ხარჯის დამადასტურებელ ი დოკუმენტის სახე, № და თარიღი	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8
1	კარტოფილის შესყიდვა	ტომარ ა	1	07.03.11	30 ლარი		
2	ხახვის შეძენა	კგ	10	07.03.11	9 ლარი		
3	ნამცხვარი	ც	12	07.03.11	10 ლარი	სასაქონლო ზედნადები №11/12, 07.03	
4	ვაფლი	კგ	5	07.03.11	10 ლარი	სასაქონლო ზედნადები №11/12, 07.03	
5	შპს „სხივზე“ სასწორის შესაკეთებლად გაცემული მომსახურება			07.03.11	5 ლარი		გაცემული ავანსი

ვახტანგი ჟურნალში შპს „ტკბილი სასმელებისაგან“ ნისიად შეძენილ საქონელზე ჩანაწერს გააკეთებს იმ რიცხვში, როდესაც მოახდენს ნაღდ ანგარიშწორებას.

1. თუ ვახტანგი 10 მარტს მიღება-ჩაბარების აქტით-№XX დაიბრუნებს შეკეთებულ სასწორს და მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია სწორად (შესაძლებელია მომსახურების მიმწოდებლისა და მიმღების იდენტიფიცირება, დამოწმებულია ხელმოწერებით და

ბეჭდის ქონის შემთხვევაში ბეჭდით) იგი ჟურნალის მე-2,5-მე-8 სვეტებში გააკეთებს ჩანაწერს:

შპს „სხივზე“ სასწორის შესაკეთებლად გაცემული მომსახურება			10.03.11	5 ლარი	მიღება-ჩაბარების აქტი №XX	დარჩენილი თანხის დაფარვა
---	--	--	----------	--------	------------------------------	--------------------------------

დანართი №1

მცირე ბიზნესის ხარჯების გამარტივებული აღრიცხვის სპეციალური ჟურნალი
20—— წელი

გადამხდელი _____
(მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირის გვარი, სახელი)

საიდენტიფიკაციო ნომერი — — — — —

მცირე ბიზნესის სერტიფიკატის ნომერი — — — — —

განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობის სახე — — — — —

საქმიანობის ადგილის (ან ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილის) მისამართი

	შემენილი საქონლის დასახელება ან/და მიღებული მომსახურების სახე	ე რ თ ე უ ფ ო	რ ა ო დ ე ნ ო ბ ა	თარიღი	თანხა	ხარჯის დამადასტურებელ ი დოკუმენტის სახე, № და თარიღი	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8
1							

დანართი №4 (20.03.2012 N 88)

ინსტრუქცია

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭებისა და გაუქმების,
ფიქსირებული გადასახადის გადახდისა და ანგარიშგების და ფიქსირებული
გადასახადის გადამხდელის სერტიფიკატის გაცემის წესის შესახებ

მუხლი 1. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი

1. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს პირს, რომელიც არ არის დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელი და ახორციელებს ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ ერთ ან ერთზე მეტ საქმიანობას.

2. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია, გარდა ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობისა, დამატებით განახორციელოს საქართველოს მთავრობის მიერ ნებადართული საქმიანობა.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დამატებითი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი ექვემდებარება საერთო წესით დაბეგვრას.

4. ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი არ ჩაირთვება ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის ერთობლივ შემოსავალში და შემდგომ დაბეგვრას არ ექვემდებარება.

5. ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი არ გაითვალისწინება დღგ-ის სავალდებულო რეგისტრაციის ვალდებულების განსაზღვრისას.

6. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი თავისუფლდება ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის ნაწილში საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებისაგან.

7. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირისგან ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის ფარგლებში შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვითება.

8. იმ შემთხვევაში თუ ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირი დამატებით ახორციელებს სხვა სახის საქმიანობას, ასეთ შემთხვევაში ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ საქმიანობასა და დამატებით განხორციელებულ საქმიანობას შორის გაუმიჯნავი ხარჯები დამატებით განხორციელებული საქმიანობის ფარგლებში მიღებული ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითვას არ ექვემდებარება. (12.07.2012 N 247)

მუხლი 2. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭება

1. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით გადასახადის გადამხდელი განცხადებით (დანართი №1) მიმართავს საგადასახადო ორგანოს. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს საქმიანობის ის სახე, რომელზეც გავრცელდება ფიქსირებული გადასახადით დაბეგვრის რეჟიმი და ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის მისამართი. (12.07.2012 N 247)

2. პირს უფლება აქვს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით საგადასახადო ორგანოს მიმართოს საანგარიშო წლის ნებისმიერ თვეს.

3. თუ პირი აკმაყოფილებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 159-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების პირობებს, მას შეუძლია მიმართოს საგადასახადო ორგანოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმებისა და ფიქსირებულ გადასახადზე გადასვლის მოთხოვნით. აღნიშნულ

შემთხვევაში, მიუხედავად ფიქსირებულ გადასახადაზე გადასვლისა, პირი ვალდებულია შეასრულოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმებასთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

4. საგადასახადო ორგანო განიხილავს განცხადებას და თუ პირი აკმაყოფილებს ამ ინსტრუქციის პირველი მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს, განცხადება სრულყოფილადაა შევსებული და მასში დაფიქსირებული მონაცემები შეესაბამება რეალურად არსებულს გონივრულ ვადაში გასცემს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სერტიფიკატს (დანართი №2).

5. ამოღებულია (12.07.2012 N 247)

6. პირი ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონედ და, შესაბამისად, ფიქსირებული გადასახადის გადამხდელად ითვლება ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭების თვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. (12.07.2012 N 247)

7. პირს ფიქსირებული გადასახადის სტატუსი არ მიენიჭება, თუ:

ა) არ აკმაყოფილებს ამ ინსტრუქციის პირველი მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს ;

ბ) განცხადება არასრულყოფილად არის შევსებული;

გ) განცხადებაში დაფიქსირებული მონაცემები არ შეესაბამება რეალურად არსებულს.

8. თუ პირის მიერ ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭებასთან ერთად განცხადებით (დანართი №1) მოთხოვნილ იქნა მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმება და პირს უარი ეთქვა ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭებაზე, მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსი გაუქმებას არ ექვემდებარება.

მუხლი 3. ფიქსირებული გადასახადი და დაბეგვრის სხვა სპეციალური რეჟიმები

1. საქართველოს მთავრობის მიერ ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის განსაზღვრის შემდეგ აღნიშნული საქმიანობ(ებ)ის განმახორციელებელ პირებზე არ გაიცემა მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსი.

2. თუ ფიზიკური პირი, დამატებით ახორციელებს სხვა საქმიანობას და აკმაყოფილებს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, უფლება აქვს ფიქსირებული გადასახადით დაბეგვრის რეჟიმთან ერთად დამატებით განხორციელებული საქმიანობის ნაწილში ისარგებლოს სპეციალური დაბეგვრის სხვა რეჟიმით (მიკრო ან მცირე ბიზნესის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმებით).

3. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის მიერ დამატებით განხორციელებული საქმიანობის ნაწილში მიკრო ან მცირე ბიზნესის სტატუსის მიღების შემთხვევაში მიკრო/მცირე ბიზნესისათვის დადგენილი წლიური ერთობლივი შემოსავლის ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას გაითვალისწინება ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი.

მუხლი 4. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ანგარიშგების და გადახდის წესი

1. ფიქსირებული გადასახადის განაკვეთი საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული საქმიანობის სახეების მიხედვით შეიძლება იყოს – დაბეგვრის ობიექტზე – 1 ლარიდან 2000 ლარის ფარგლებში.

2. ფიქსირებული გადასახადის საანგარიშო პერიოდია კალენდარული თვე.

3. ფიქსირებული გადასახადის გადახდა ხორციელდება საანგარიშო თვის დაწყებამდე, გადახდის მომენტისათვის არსებული განაკვეთის შესაბამისად.

4. საგადასახადო ორგანოს მიერ ფიქსირებულ გადასახადზე გადასვლის თაობაზე შესაბამისი სერტიფიკატის გაცემის შემთხვევაში, პირის ფიქსირებულ გადასახადზე გადასვლის თაობაზე განცხადება წარმოადგენს გაანგარიშებას და მასში მითითებული დაბეგვრის ობიექტის მიხედვით ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭების თვის მომდევნო თვიდან ფიქსირებული გადასახადის დარიცხვის საფუძველს.

4¹. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სერტიფიკატი გაიცემა ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ საქმიანობის თითოეულ მისამართზე ცალ-ცალკე. (12.07.2012 N 247)

5. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი არ იხდის მიმდინარე გადასახდელებს ფიქსირებული გადასახადის მიხედვით.

6. ფიქსირებული გადასახადით დაბეგვრის პერიოდში ფიქსირებული გადასახდის გადამხდელი პირი აღნიშნული საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალზე საგადასახადო ორგანოს არ წარუდგენს საშემოსავლო/მოგების გადასახადის შესახებ დეკლარაციას.

6¹. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 95³ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განაკვეთით დასაბეგრი საქმიანობის ფიქსირებული გადასახადით დაბეგვრისას, საშემოსავლო და მოგების გადასახადებზე საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საგადასახადო შეღავათები არ გაითვალისწინება; (12.07.2012 N 247)

7. იმ შემთხვევაში თუ იცვლება განცხადებაში დაფიქსირებული ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის სახე ან/და ობიექტის რაოდენობა, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია განცხადებით (დანართი №1) მიმართოს საგადასახადო ორგანოს ცვლილების მოთხოვნით, რის შემდეგაც დარიცხვა მომდევნო საანგარიშო პერიოდიდან უნდა განხორციელდეს შემდგომ წარდგენილ განცხადებაში დაფიქსირებული მონაცემების შესაბამისად. ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის სახის ან/და ობიექტის რაოდენობის ცვლილების შემთხვევაში გადამხდელზე გაიცემა ახალი სერტიფიკატი, ხოლო ძველი სერტიფიკატი ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსათვის დაბრუნებას (გარდა საქმიანობის სახისა და სხვა მისამართზე ობიექტის დამატების შემთხვევისა). (12.07.2012 N 247)

8. ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის მისამართის შეცვლის შემთხვევაში გადასახადის გადამხდელი ვალდებულია ცვლილებებამდე აცნობოს საგადასახადო ორგანოს (დანართი №1). ასეთ შემთხვევაში გადამხდელზე გაიცემა ახალი სერტიფიკატი, ხოლო ძველი სერტიფიკატი ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსათვის დაბრუნებას. (12.07.2012 N 247)

9. დარიცხული ფიქსირებული გადასახადი შესაბამისი საანგარიშო თვის დადგომის შემდეგ ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი ობიექტის შემცირების/ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის შეწყვეტის ან/და ფიქსირებული გადასახადის განაკვეთის ცვლილების შემთხვევაში გადაანგარიშებას არ ექვემდებარება.

მუხლი 5. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის ვალდებულებები

1. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი ვალდებულია მისთვის ან მის მიერ პირველადი საგადასახადო დოკუმენტის გამოწერის შემთხვევაში შეინახოს აღნიშნული დოკუმენტი.

2. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი არ თავისუფლდება გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავების ვალდებულებისაგან.

მუხლი 6. ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის შეჩერება

1. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის შეჩერების შემთხვევაში განცხადებით (დანართი №3) მიმართოს საგადასახადო ორგანოს.

2. ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის შეჩერების პერიოდში პირს არ დაერიცხება ფიქსირებული გადასახადი.

3. საქმიანობის განახლების შემთხვევაში პირი ვალდებულია აცნობოს საგადასახადო ორგანოს (დანართი №3) და გადაიხადოს საქმიანობის განახლების თვის ფიქსირებული გადასახადი სრულად. (12.07.2012 N 247)

4. ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის შეჩერების პერიოდში საქმიანობის ფაქტობრივად გაგრძელების შემთხვევაში, შესაბამისი საგადასახადო ვალდებულებების შეუსრულებლობისას პირს დაეკისრება საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობა.

მუხლი 7. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის გაუქმება

1. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი უქმდება, თუ:

ა) პირი წყვეტს ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ საქმიანობას;

ბ) პირი საგადასახადო ორგანოს მიმართავს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის გაუქმების მოთხოვნით;

გ) პირი ახორციელებს საქართველოს მთავრობის მიერ ფიქსირებული გადასახადის გადამხდელისთვის ნებადართული დამატებითი საქმიანობისგან განსხვავებულ საქმიანობას;

დ) საქართველოს მთავრობის მიერ ფიქსირებული გადასახადის გადამხდელისთვის ნებადართული დამატებითი საქმიანობის ნაწილში პირს წარმოეშვა დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება ან ნებაყოფლობით გატარდა დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციაში.

2. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის გაუქმების ერთ-ერთი პირობის (გარდა ამ მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა) დადგომისას პირი ვალდებულია ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის გაუქმების მიზნით განცხადებით (დანართი №4) მიმართოს საგადასახადო ორგანოს შესაბამისი პირობის დადგომიდან არა უგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

3. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი გაუქმებულად ითვლება ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის გაუქმების პირობის დადგომის დღიდან.

მუხლი 8. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირთა რეესტრი

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირიდან შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯის იდენტიფიცირების მიზნით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური (შემდგომში – შემოსავლების სამსახური) აწარმოებს საგადასახადო წლისათვის ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირების ერთიან რეესტრს, რომელიც განთავსდება შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე.

მუხლი 9. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის საგადასახადო კონტროლი

საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის მიმართ განახორციელოს საგადასახადო კონტროლის ღონისძიებები.

მუხლი 10. გარდამავალი დებულებები

1. მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის მიერ ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის ნაწილში მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმებისა და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსზე გადასვლის შემთხვევაში, საანგარიშო წლის დაწყებიდან მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმებამდე პერიოდში მიღებული შემოსავალი ექვემდებარება დაბეგვრას მიკრო/მცირე ბიზნესისათვის დადგენილი რეჟიმით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირებს ფიქსირებული გადასახადით დაბეგვრის რეჟიმზე გადასვლის მიზნით განცხადებით მომართვის დღიდან ფიქსირებული გადასახადის გადამხდელად დადგომის დღემდე უნარჩუნდებათ მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსი.

მაგალითი 1

ინდივიდუალურ მეწარმეს, რომელიც ახორციელებს „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №415 დადგენილების №6 დანართით განსაზღვრულ ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ საქმიანობას, სურს გადავიდეს ფიქსირებული გადასახადით დაბეგვრის რეჟიმზე. ამასთან, პირი არ არის დღგ-ის გადამხდელი.

2012 წლის 20 მარტს მეწარმემ განცხადებით მიმართა საგადასახადო ორგანოს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის მოთხოვნით. საგადასახადო ორგანომ განიხილა პირის განცხადება და 2012 წლის 25 მარტს პირს მიანიჭა ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი.

დასკვნა: ასეთ შემთხვევაში პირი ფიქსირებული გადასახადის გადამხდელად ითვლება 2012 წლის 1 აპრილიდან, ხოლო ფიქსირებული გადასახადი გადახდილი უნდა იქნეს 2012 წლის 1 აპრილამდე.

მაგალითი 2

შპს-ს, რომელიც ეწევა სარესტორნო მომსახურებას, გააჩნია საკუთარი თონე, რომლის საშუალებითაც ხორციელდება პურის გამოცხობა, საწარმო ახდენს ამგვარი წესით გამოცხობილი პურის როგორც ცალკე საქონლის მიწოდებას (რეალიზაციას), ისე იყენებს

სარესტორნო მომსახურების გაწევაში და მისი ფასი ჩართულია კლიენტისათვის გაწეული მომსახურების საბოლოო ღირებულებაში.

შპს-მ განცხადებით მიმართა საგადასახადო ორგანოს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭების მიზნით. ვინაიდან საწარმო ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებულ საქონელს იყენებს მის მიერ სხვა რეჟიმით დასაბეგრ საქმიანობაში, მას არ მიენიჭება ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი.

მაგალითი 3

პირი ახორციელებს „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №415 დადგენილების №6 დანართით განსაზღვრულ ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ საქმიანობას და დამატებით ეწევა სარემონტო მომსახურებას. პირს სურს მიიღოს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი ძირითად საქმიანობაზე, ხოლო დამატებით განხორციელებული საქმიანობის ნაწილში ისარგებლოს მცირე ბიზნესის სტატუსით. პირი არ არის დღგ-ის გადამხდელი.

ასეთ შემთხვევაში პირმა განცხადებით უნდა მიმართოს საგადასახადო ორგანოს ფიქსირებულ გადასახადზე გადასვლის მოთხოვნით და დამატებით განხორციელებული (სარემონტო მომსახურება) საქმიანობის ნაწილში მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების თაობაზე. ამასთან, ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი გათვალისწინებული იქნება მცირე ბიზნესის 100 000 ლარამდე ერთობლივი შემოსავლის ოდენობის დათვლისას.

მაგალითი 4

პირს აქვს თონე და პურის ცხოვასთან ერთად თონეში აცხობს და ყიდის ლობიანს. იგი ასევე დამატებით ახორციელებს თონით მომსახურებას (მაგ., გოჭის შეწვა) და სურს გადავიდეს ფიქსირებული გადასახადით დაბეგვრის რეჟიმზე.

ასეთ შემთხვევაში პირს შეუძლია მიმართოს საგადასახადო ორგანოს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის მოთხოვნით. პირს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი მიენიჭება თონეზე და იგი შეზღუდული არ არის აღნიშნული სტატუსის ფარგლებში პურთან ერთად გაყიდოს მის მიერ გამომცხვარი ლობიანი, პურისათვის მოზედილი ცომი ან თონეში შეწვას გოჭი.

დანართი №1 (12.07.2012 N 247)

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

(გადასახადის გადამხდელის დასახელება/სახელი და გვარი)

--	--	--	--	--	--	--	--	--	--

საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

(მისამართი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
ფიქსირებულ გადასახადზე გადასვლის/ ფიქსირებულ გადასახადით დასაბეგრი
საქმიანობის/ობიექტის რაოდენობის/მისამართის ცვლილების თაობაზე

გაცნობებთ, რომ ვეწევი ----- საქმიანობას.
(საქმიანობ(ებ)ის სახე)

№	საქმიანობის სახე	დაბეგვრის ობიექტი	ობიექტის რაოდენობა	ობიექტის მისამართი	გადასახადის განაკვეთი ობიექტზე	კუთვნილი გადასახადი (4 X 6)	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	

ჯამი

შენიშვნა:

ა) განცხადებაში მონაცემები მიეთითება სრულად, წინა განცხადების გათვალისწინებით;

ბ) საქმიანობის სახის, ობიექტის რაოდენობის ან/და საქმიანობის მისამართის შეცვლის შემთხვევაში ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სერტიფიკატი ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსათვის დაბრუნებას (გარდა საქმიანობის სახისა და სხვა მისამართზე ობიექტის დამატების შემთხვევისა).

გთხოვთ

მომანიჭოთ ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი

გამიუქმოთ:

☐ მიკრობიზნესის სტატუსი და ჩაიბაროთ მიკრობიზნესის № ---- სერტიფიკატი

☐ მცირე ბიზნესის სტატუსი და ჩაიბაროთ მცირე ბიზნესის № ---- სერტიფიკატი.

ხელმოწერა
თარიღი „ — „ —————, 20 წელი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური
ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის

ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი №----

სერტიფიკატით დასტურდება, რომ

--	--	--	--	--	--	--	--	--	--

(პირის დასახელება/სახელი და გვარი)
(საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი)

(საქმიანობის სახე და დაბეგვრის ობიექტის რაოდენობა)

ფაქტობრივი მისამართი: -----

მინიჭებული აქვს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი

სერტიფიკატის გაცემის თარიღი -----

პირი ფიქსირებული გადასახადის გადამხდელია -----

უფლებამოსილი პირის თანამდებობა და ხელმოწერა -----

დანართი №3 (12.07.2012 N 247)

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

(გადასახადის გადამხდელის დასახელება/სახელი და გვარი)

--	--	--	--	--	--	--	--	--	--

საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

(მისამართი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის შეჩერების/განახლების შესახებ

გაცნობებთ, რომ

- ☐ შევაჩერე
- ☐ განვაახლე

ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობა
(საქმიანობის სახე)

საქმიანობ(ებ)ის ნაწილში.

სერტიფიკატ(ებ)ის ნომერი:

საქმიანობის შეჩერების/ განახლების თარიღი

20.. წლის თვიდან

ხელმოწერა

თარიღი „ — „ „—————“ 20 წელი